# სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იაკობ გოგებაშვილი

● №10 (4585) ● 12 ივნისი ● 2019 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი


გილოცავთ სასწავლო წლის დამთავრებას – გაუმარჯოს არდადეგებს!

# გვახსოვდეს, გვიყვარდეს პირველი მასწავლებელი!



**ბოლო ზარი** უკვე ყველგან დაირეკა. ქალიშვილები და ჭაბუკები გამოემშვიდობნენ მშობლიურ სკოლას, დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე გავიდნენ. ასპარეზი დავულოცოთ მათ.

კიდევ ცოტა და მათ კვალს მიჰყვებიან სხვა მოსწავლეებიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მათთვის დაიწყება დიდი, მხიარული არდადეგები. განსაკუთრებულია მეოთხეკლასელთა განწყობილება - ისინი ხომ **პირველ მასწავლებელს**, მას, ვინც „შეასწავლა ანი-ბანი, შეაყვარა დედა ენა“, დაემშვიდობებიან და ახალ პედაგოგებთან აღმოჩნდებიან, ახალ გარემოსთან მოუწევთ ადაპტირება. სიხარულთან ერთად არც ისე უმტკივნეულო გახლავთ ეს პროცესი.

თბილისის მე-9 საჯარო სკოლაში შემოქმედი დირექტორის **მარინე გიგაურის,** მისი მოადგილის **ელეონორა ფერაძის,** მთელი პედაგოგიური კოლექტივის რუდუნებით სასწავლო წელი სასურველი შედეგებით დასრულდა.

კარგად ილვაწეს დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა. დაწყებითი კლასების კათედრის ხელმძღვანელის, ერუდირებული პედაგოგის **თამარ ხელაშვილის,** კათედრის წევრების: **ციცინო ვაზაგაშვილის, ლანა ფარქოსაძის, სალომე კბილაშვილის, ნათია მაღლაფერიძის, ეკა ნასრაშვილის, თამარ მაისურაძის, ხათუნა ჯორბენაძის, ლილი კვარაცხელიას, მაია კვესელაძის, ნინო ჩალაურის, ნანა ოდიშვილის** თავდადებული შრომით თვალსაჩინო შედეგებია მიღწეული.

განსაკუთრებული ნიჭი, გამოცდილება, ძალისხმევა არ დაიშურეს მეოთხეკლასელთა ღვაწლმოსილმა მასწავლებლებმა: **მაია კვესელაძემ, ნინო ჩალაურმა** და **კარინა კახელმა** (უფრო ადრე **ნელი აბრამიძემ**), რომ სწავლების მაღალი საფეხურისთვის კარგად მომზადებული ცეროდენები გაეცილებინათ მეხუთე კლასში.

მეხუთე კლასში გადაფრენილ მერცხლებზე ქვემოთ მოკლედ მოგითხრობთ.

IVა კლასი

## მაია კვესელაძე: „ვამაყობ ჩემი აღზრდილებით“

**ეს კლასი** სკოლის ერთ-ერთი მუდამ წარმატებული ჯგუფი იყო. პირველივე წლიდან ცეროდენებზე დედასავით ზრუნავდა თბილი და წარმატებული პედაგოგი **მაია კვესელაძე.** სიყვარულსა და ყურადღებას არ აკლებდა მათ. ოთხი წლის განმავლობაში პატარები აქტიურად მონაწილეობდნენ მრავალ ღონისძიებაში: საახალწლო, საშობაო, დედის დღესთან დაკავშირებულ, სააღდგომო, ოქროს შემოდგომა და სხვა ზეიმებში. ჩატარდა გასვლითი გაკვეთილები **„გარდენიაში“,** ხელოვნების სასახლეში. მონაწილეობდნენ **„ტვინების ჭიდილსა“** და **„მხიარულ სტარტებში“**, სადაც ორივეგან ლიდერობდნენ. მოსწავლეები მუდმივად მონაწილეობდნენ **„ევერესტისა“** და **„სმარტის“** ოლიმპიადებში. ამავე კლასის მოსწავლეა ევერესტის ნომინაცია **„ოქროს გოგონა“**-ს მფლობელი **მარიამ გოლაშვილი,** ხოლო ჭიდაობაში **„ოქროს ბიჭუნა“ - გაბრიელ ზარქუა.** სასწავლო წლის ბოლოს მოაწყეს ექსკურსიები, ლაშქრობები, მუდმივად ესწრებოდნენ სპექტაკლებს. **მაია კვესელაძისთვის** ეს კლასი მე 4 გამოშვებაა, 25 მოსწავლით. მაიას იმედი აქვს, ეს გოგო-ბიჭები ასახელებენ და არ დაივიწყებენ პირველ მასწავლებელს.

IVბ კლასი

## ნინო ჩალაური: „მეგობრებად დავრჩებით“

**პაწიებს** პირველ კლასიდან უძღვებოდა ენერგიული, მოსიყვარულე პედაგოგი **ნინო ჩალაური.** კლასს მიღებული აქვს მონაწილეობა ბევრ საინტერესო ღონისძიებაში. ესენია: საახალწლო, საშობაო, დედის დღის, სააღდგომო, ოქროს შემოდგომა. ჩაუტარდათ გასვლითი გაკვეთილები **„გარდენია“**-ში, ხელოვნების სასახლეში, ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში.გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში.



წარმატებას მიაღწიეს „ტვინების ჭიდილში“, „მხიარულ სტარტებში“ დაიკავეს მესამე ადგილი. **„კინგსის“, „სმარტის“, „ევერესტის“** ოლიმპიადებში უამრავი სიგელი და დიპლომი მოიპოვეს. საუკეთესო კინგსელად ცნობილია **დემეტრე რაზმაძე,** კლასში არიან ქალაქ თბილისის ჩემპიონები სპორტულ აკრობატიკაში(ტანვარჯიშის სახეობა) გამარჯვებულნი: **თეკლა შაქრიაშვილი, ლიკა ზეიკიძე, მარიამ გაბროშვილი.** ყოველი წლის ბოლოს პატარები დადიოდნენ ექსკურსიებზე, წლის მანძილზე დაესწრნენ მოზარდ მაყურებელთა თეატრებს. ამ სასწავლო წლის ბოლოს (24 მაისს) ჩაატარეს მეტად ემოციური გამოსაშვები ღონისძიება **„საქართველო ჩემი სამშობლოა“.** გამოცდილი პედაგოგისთვის ეს კლასი მე-6 გამოშვებაა ოცდაათხი მოსწავლით. მათი მეგობრობა ამით არ დამთავრებულა, გრძელდება.

IVგ კლასი

## კარინა კახელი: „მწამს, არ დამივიწყებენ“

**IVგ კლასს** თავიდან ხელმძღვანელობდა ღვაწლმოსილი პედაგოგი **ნელი აბრამიძე.** მან დიდი სიყვარულით ჩაიბარა თავისი პატარები და მზრუნველობას არ აკლებდა. გამოზარდა და დააფრთიანა, ასწავლა წერა-კითხვა და ერთმანეთის დიდი სიყვარული, მაგრამ, სამწუხაროდ, გარდაიცვალა და ვერ შეძლო სასწავლო წლის ბოლომდე მათთან ყოფნა. ამჟამად კლასს ხელმძღვანელობს ქალბატონი **კარინა კახელი**, რომელმაც ძალა და ენერგია არ დაიშურა პატარებისთვის, თავდაუზოგავად თავს დასტრიალებდა. კლასი მუდამ აქტიურად იყო ჩართული ყველა სასკოლო ღონისძიებაში. საქალაქო **„ტვინების ჭიდილში“** II ადგილი დაიკავეს. კლასში არის სამი საუკეთესო მოჭადრაკე **ვახტანგ თენაძე, ნიკოლოზ ებრალიძე** და **კონსტანტინე იურენკო.** კლასი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა ღონისძიებებსა და ექსკურსიებში. 19 მოსწავლემ მაღალი შედეგებით დაასრულა სასწავლო წელი და შესანიშნავად მომზადებული გადავიდნენ ცეროდენები მეხუთე კლასში.

**კარინა კახელს** სჯერა, აღზრდილები იმედებს გაუმართლებენ და არც პირველ მასწავლებელს **ნელი აბრამიძეს** დაივიწყებენ.

თამარ ხელაშვილი,
ბორის მიშველაძე



მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

მორიგი ნომერი გამოვა სექტემბერში

ნომრის სტუმარია 131-ე სკოლა

# ჯანსაღ გარემოში სწავლება სახალისოა და შედეგიანი





**131-ე საჯარო** სკოლა ისანი-სამგორის რაიონში, ჭიჭინაძის ქუჩაზე მდებარეობს. პერიფერიული მდებარეობის მიუხედავად, აქ სასწავლო პროცესი შესანიშნავად მიმდინარეობს და პედაგოგები განათლების სამინისტროს სიახლეებს ფეხდაფეხ მიჰყვებიან. აქაურ მოსწავლეებს, შედარებით უკეთეს ეკოლოგიურ გარემოში უწევთ სწავლა-განათლების მიღება და მშობლებიც კმაყოფილები არიან. სკოლის ეზო მოწესრიგებულია და მას მარადმწვანე წიწვოვანი ხეები ამშვენებს. შენობის გარე და შიდა ფასადი კი ესთეტურად გამოიყურება. სკოლის ინტერიერი დამშვენებულია ყვავილებითა და სხვადასხვა თვალსაჩინოებით. აქ ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ სასწავლო დაწესებულებას კარგი მენეჯერი და ხელმძღვანელი ჰყავს. **ხათუნა ენუქიძე** უკვე ხუთი წელია დირექტორია და თავდაუზოგავად იღწვის სკოლის წარმატებისთვის. იგი 30 წელიწადია პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა, არის დაწყებითაი კლასების მასწავლებელი. ქალბატონი ხათუნა სერთიფიცირებულია და უფროსი მასწავლებლის სტატუსით სარგებლობს.

**ხათუნა ენუქიძე:** ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში სასწავლო პროცესი გაუმჯობესდა, რაც გამოიხატება იმაში, რომ გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა, იყო 500 და ახლა 931 ბავშვია. ოთხი პირველი კლასი იხსნება და ადგილები უკვე შევსებულია. წელს სკოლა 33 მოწავლემ დაამთავრა, აქედან ერთი ოქროს მედალოსანია. ჩვენთან სულ 7 საგნობრივი კათედრაა, რომელიც დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. რაც შეეხება ინფრატრუქტურას, იგი მოწესრიგებულია. სკოლის ბიუჯეტის ხარჯზე, შენობის ფასადი განახლდა და კაპიტალურად გარემონტდა რვა საკლასო ოთახი. ეზო მოასფალტდა და მოპირკეთდა, თუმცა, სკოლის მთლიანი რეაბილიტაცია ისევ არის დაგეგმილი.



131-ე სკოლის თვითმმართველობა კარგად მუშაობს და აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებებში. მოწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა პარლამენტის მიერ ორგანიზებულ პროექტში: **„განავითარე შენი რაიონი“,** სადაც პირველი ადგილი მოიპოვეს და **კაპადოკიის** საგზურით დაჯილდოვდნენ. სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა ოლიმპიადებში, კონკურსებში. რუსული ენისა და ლიტერატურის ოლიმპიადაში კი, ერთმა მოსწავლემ გაიმარჯვა და დიპლომიც დაიმსახურა.

საგულისხმოა, რომ სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს ჯანსაღი ცხოვრების წესს. ამ მიზნით, ხშირად იმართება სპორტული აქტივობები, **„მხიარული სტარტები“,** სადაც მოსწავლეებთან ერთად, დამრიგებლები და მშობლებიც არიან ჩართულნი.

პროფესიონალთა გუნდისა და კარგი პედაგოგების წყალობით, სკოლაში შემოქმედებითი პროცესი წარმატებით მიმდინარეობს. ხშირად ტარდება ლიტერატურული საღამოები და სხვადასხვა ღონიძიებები. მოსწავლეებითვის შთამბეჭდავი იყო ინტელექტუალურ ვიქტორინაში **„რა, სად, როდის?“** მონაწილეობა, მოსწავლეები დაჯოლდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით, ასევე, მოიპოვეს წარმატებული მოსწავლისა და კლასის ტიტული.

ასე რომ, 131-ე საჯარო სკოლა მოწოდების სიმაღლეზეა და სწავლა-განათლებაც მაღალ დონეზე მიმდინარეობს. ვულოცავთ სასწავლო წლის ღირსეულად დამთავრებას, სექტემბრიდან ახალ გამარჯვებებს ვუსურვებთ.

ანანო სამელია





მოწინავე გამოცდილება

# პროექტი, როგორც სწავლების მეთოდი

**„განწყობა** არის ფსიქოფიზიკური მზაობის მდგომარეობა. განწყობის არსებობის გარეშე ადამიანი ვერაფერს გააკეთებდა“ - **დ. უზნაძის „განწყობის თეორიის“** ეს ჭეშმარიტება რეალურად ცნაურდება სასწავლო პროცესში, რაც მოტივაციის არქონის ან პირიქით, მისი არსებობით გამოიხატება.

**მოტივაცია კი არის ძალა, რომელიც აძლიერებს, ამყარებს და მართავს ქცევას მიზნისკენ (Brophy, 2004; Pintrich & Schunk, 2002); მკვლევარებმა დადებითი და ძლიერი კორელაცია დაადგინეს მოტივაციასა და მიღწევას შორის McDermott, Mordell & Stotzfus 2001; Wang, Heartel, &Welberg, 1993; R. Weinstein, 1998).**

მოტივაცია კი თანამედროვე სწავლების ქვაკუთხედია, რაც **ე.ს.გ.** ამოსავალი წერტილია. ამდენად, იგი თანამედროვე პედაგოგიკის მთავარ გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს.

21-ე საუკუნის მოზარდები წინა თაობებისგან განსხვავდებიან თავიანთი უნარებით, ინფორმაციული მზაობით, რაც განსხვავებულ მიდგომებს საჭიროებს ნებისმიერი საგნის სწავლებისას. საჭირო ხდება ისეთი სასწავლო მეთოდების ჩართვა სასწავლო პროცესში ,რაც მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს შეათანხმებს ,რათა მივიღოთ სასურველი შედეგი.

ამ თვალსაზრისით პროექტი, როგორც სასწავლო მეთოდი მნიშვნელოვნად ეფექტურია.

**პროექტი, როგორც მეთოდი განათლების სფეროში მე-20 საუკუნის დასაწყისში გახდა აქტუალური. პროექტით სწავლება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. (http://mastsavlebeli.ge/)**

ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში ყველაზე მეტ გამოწვევას ძველი და შუა საუკუნეების ლიტერატურის სწავლების დროს ვაწყდებით, რაც განპირობებულია იმით,რომ მოსწავლეებს უწევთ შეხება ისეთ ნაწარმოებებთან, რომლებიც მათთვის უცხო და განსხვავებულ პეროდს, მსოფლმხედველობასა და ღირებულებებს ეფუძვნება, რაც, თავისთავად, მარტივი არ არის. ეს კი მასწავლებლისგან ისეთი ნაბიჯების გადადგმას ითხოვს,რაც შესაძლებელს გახდის დაანახოს მოსწავლეებს ნაწარმოების თანამდროვე ღირებულება,გაუქროს გაუცხოება და გამოიწვიოს ემპათია ამ ეპოქის პრობლემების მიმართ.

ხშირად ვისმენ განსხვავებულ მოსაზრებებს სკოლაში „ვეფხისტყაოსნის“ სწავლებასთან დაკავშირებით. ბევრი ფიქრობს, რომ ასეთი ვრცელი და რთული ნაწარმოების სწავლება მე-10 კლასის მოსწავლეებს აშინებთ. მიზეზად კი ტექსტის სიდიდე და მასწავლებლებისგან საზეპირო კუპლეტების სიუხვეს ასახელებენ, ეს კი ხშირად მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებსაც კი უკარგავს მოტივაციას.

ამ განწყობებისა და მოსაზრებების გააზრებამ მიბიძგა მოცემული საკითხის კვლევისკენ (სტატია წარმოადგენს ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგად მიღებული გამოცდილების შედეგს), რათა მომეძებნა ისეთი გზა, რითაც ჩემს მოსწავლეებში ამ სირთულეებს გადავლახავდი. არჩევანი შევაჩერე პროექტით სწავლების მეთოდზე, რადგან ვფიქრობდი, რომ იგი დამეხმარებოდა მოსწავლეები დამეახლოვებინა ტექსტთან, გამეღვიძებინა ინტერესი მათვის და გამეხადა ისინი პროცესის ინიციატორები.

მოსწავლეებს შევთავაზე შეგვექმნა „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევართა ჯგუფები და თავად გამხდარიყვნენ ინფორმაციის „აღმომჩენები“.შეთავაზებამ მოსწავლეთა პროვოცირება გამოიწვია,ენთუზიაზმით ჩაერთვნენ ჯგუფების შედგენა-დაკომპლექტებაში.

შევადგინეთ შემდეგი ჯგუფები:

1.ბიოგრაფები (იკვლევდნენ ცნობებს შოთა რუსთაველის შესახებ );

2.მეცნიერები (შეისწავლიდნენ პოემის ხელნაწერების ისტორიას);

3.გეოგრაფები (იმუშავებდნენ პოემის ტოპონიმებზე);

4 . ფ ი ლ ო ს ო ფ ო ს ე ბ ი (იმუშავებდნენ აფორიზმებზე );

5.ილუსტრატორები (შეაგროვებდნენ და განიხილავდნენ ილუსტრაციებს);

6.ენათმეცნიერები (ლექსიკონზე მუშაობა ევალებოდათ);

7.ჟურნალისტები (ყოველი ახალი თავის შესწავლის მერე შინაარსის მიხედვით უნდა შეექმნათ „ნიუსები“).

შევადგინეთ პროექტის გეგმა, განვსაზღვრეთ განხორციელების ვადები(სამი კვირა) ,შევთანხმდით კვლევის დღიურების წარმოებაზე (ყველა ჯგუფს თავისი დღიური) და შუალედური ანგარიშისთვის გამოვყავით კვირაში ერთი დღე. ურთიერთობის უწყვეტობისთვის შევქმენით სოციალური ქსელში ჯგუფი,რათა მოსწავლეებს საჭიროების შემთხვევაში შეძლებოდათ მასწავლებელთან და ერთმანეთთან ურთიერთობა პროექტთან დაკავშირებით.

შედეგად მივიღე მოსწავლეთა ჩართულობის მაღალი ხარისხი, მოტივაცია, რაც აუცილებელია ნებისმიერი საქმის წარმატებისთვის.

მოსწავლეები დიდი ინტერესით შრომობდნენ და შედეგმა,რომელიც წარმოადგინეს პრეზენტაციების, ვიდეორგოლების, ბროშურების, ინტერვიუების ჩანაწერების, ელექტრონული ვიქტორინის (კითხვების), ილუსტრაციების, კედლის გაზეთების, რუკების და ინტერნეტ გვერდის „ვეფხი News“ სახით, ჩემს მოლოდინს გადააჭარბა.

პროექტის პრეზენტაციისთვის დაიგეგმა „მუზეუმი ოთახის“ მოწყობა, საპრეზენტაციო სივრცეში „მკვლევრებმა“ განათავსეს თავიანთი ნამუშევრების სტენდები ,პრეზენტაციებით ერთმანეთს გააცნეს შედეგები,რომელსაც დაესწრნენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები და არამარტო ისინი.

პროექტის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს შევთავაზე თვითშეფასების ფურცლების შევსება, რათა თავად შეეფასებინათ პროექტის წარმატება და თავიანთი მუშაობა. მათ ერთხმად აღიარეს, რომ „ვეფხისტყაოსანი“' მათთვის ყველაზე ახლობელი ნაწარმოები გახდა და პროექტით მიღებული ცოდნა არასდროს დაავიწყდებოდათ.

მუშაობის ამგვარი მეთოდი, უდავოდ, ღირებულია, რადგან იგი კომპლექტური უნარების განვითარებას უწყობს ხელს და სკოლაში მიღებულ საგნობრივ ცოდნას რეალურ ცხოვრებაში გამოსაყენებელ უნარად აქცევს. იგი ასევე ხელს უწყობა მოსწავლესა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობითი და პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

კრიტიკული, ანალიტიკური, კვლევის, ინფორმაციის მოძიება-დახარისხების, პრეზენტაციის მომზადება-წარმოდგენის, ჯგუფური მუშაობის, პასუხისმგებლობის განაწილების უნარები ეს 21-ე საუკუნის ადამიანის სასიცოცხლო უნარებია, რომელთა ერთობლიობაც ამაღლებს მოსწავლეთა თვითშეფასებას, რაც აუცილებელია ნებისმიერ საქმეში წარმატებისთვის.

ამრიგად, მიმაჩნია, რომ პროექტი, როგორც სასწავლო მეთოდი, რომელიც მიმდინარე ტენდენციით თანდათან ძლიერდება სასკოლო პრაქტიკაში, ეფექტური საშუალებაა და ფართოდ უნდა დაინერგოს.

თამარ ონიანი,
83-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი

თეატრალიზებული სანახაობა მე-8 სკოლაში

# სპექტაკლმა მოწონება დაიმსახურა





**„ბუნება** მხოლოდ მათემატიკის ენაზე გვესაუბრება“-გალილეო გალილეის ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა თბილისის აკაკი კივილაძის სახელობის მე-8 საჯარო სკოლაში გამართულ თეატრალიზებულ სანახაობას დავესწარი. მოსწავლეებმა, ნამდვილად შეძლეს მაყურებელზე შთაბეჭდილებების მოხდენა და გასაოცარი მხატვრული ოსტატობით, არითმეტიკულ რიცხვთა ჯადოსნურ სამყაროში გვამოგზაურეს.



-„**სტუმრად არითმეტიკასთან**“- ასეთი იყო სახელწოდება სპექტაკლისა, რომელიც აკაკი კივილაძის სახელობის მე-8 საჯარო სკოლის **(დირექტორი თეონა მაისურაძე)** სააქტო დარბაზში გაიმართა და რომლის სცენარის ავტორი და ორგანიზატორი გახლდათ ხელოვნების მასწავლებელი **დოდო გაბესკირია.**

სპექტაკლში მონაწილეობდნენ VIა კლასის მოსწავლეები: **ლუკა არსენაძე, საბა ბადრიშვილი, თამარ ბუსხრიკიძე, გუგა გიორგაშვილი, ია გოდერძიშვილი, დავით გრძელიშვილი, ნიკოლოზ ებანოიძე, ლუკა თავდიშვილი, რეზი ისმელაშვილი, საბა კარელიძე, გიორგი კენჭიაშვილი, ლიზი ლომაძე, დავით მარიდაშვილი, თორნიკე მჭედლიძე, სანდრო ოზგებიშვილი, ია მჭედლიძე, ნინო ნადირაძე, თეა პატარიძე, ლიზი ფირცხალაიშვილი, ილია ყაველაშვილი, ნიკოლოზ ჭულუხაძე, ტატიანა ჭყონია და ლიზი ხოსიტაშვილი.** (კლასის დამრიგებელი **ნანა ჩუთლაშვილი**) და IXბ კლასის მოსწავლეები: **თამარ გოგავა** და **ნანა ნაჭყებია** (კლასის დამრიგებელი **ნინო ტოკლიკიშვილი).**

ღონისძიებას ესწრებოდნენ გაზეთ „სახალხო განათლება“-ის ჟურნალისტი მზია გოგოძე, ლომისის წმ.გიორგის სახელობის ტაძრის ბერი მამა გიორგი,ამავე ტაძრის მონაზონი დედა მატრონა და 51-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი ნინო გაბუნია.

სპექტაკლით მოსწავლეებმა მოგვითხრეს,რომ სამყაროში ყველაფერი დაკავშირებულია მათემატიკასთან და ყველაფერს რიცხვები მართავენ.სპექტაკლი საინტერესოდ იყო შექმნილი, სადაც მათემატიკა ინტეგრირებული იყო ხელოვნებასთან, რელიგიასთან, არქიტექტურასთან, მხატვრობასთან, საინფორმაციო ტექნოლოგიებთან და ა.შ.

დარბაზის სცენა ესთეტურად გამოიყურებოდა, იგი ლამაზი თემატური დეკორაციებით იყო მორთული, მოსწავლეები სასცენო კოსტიუმებში იყვნენ გამოწყობილნი. ნორჩ მსახიობებთან ერთად , თითქოს არარეალურ სამყაროში უნდა გვემოგზაურა, მაგრამ ტექსტის შინაარსი ისეთივე რეალური იყო, როგორც თავად ზუსტი მეცნიერებაა.

სპექტაკლის სიუჟეტი კი, ასეთი იყო: პრინცესა არითმეტიკას ესტუმრა მისი და გეომეტრია, დეიდაშვილები: სტერეომეტრია,პლანიმეტრია და მეგობრები: ფილოსოფია, ხელოვნება, მუსიკა და რელიგია. გახარებულმა პრონცესამ სტუმრების პატივსაცემად მიღება გამართა, რომელზეც მოიპატიჟა ზოგიერთი ნატურალური რიცხვი და ძველი ბერძენი იონიელი მათემატიკოსი პითაგორა, რომელმაც დააფუძნა: მისტიური-რელიგიური და სამეცნიერო საზოგადოება ,,პითაგორელები''. სწორედ ,პითაგორას ნაამბობიდან გაირკვა, რომ ყველაფერი დაკავშირებულია მათემატიკასთან და ყველაფრის



წინასწარ განჭვრეტა შესაძლებელია ციკლთა რითმულობის განსაზღვრით, რომ მათემატიკის ძირითადი ცნებაა რიცხვი, „რიცხვი, რომელიც არის სამყაროს კავშირი და კანონი, ძალა, რომელიც ბატონობს“...

ღონისძიებაზე ნაჩვენები იყო ფოტო-სლაიდები, ცნობილი ხელოვანების ნაწარმოებები, სადაც ნათლად ჩანს ხელოვნებისა და მათემატიკის ურთიერთკავშირი. ასევე, შემოგვთავაზეს ვიდეო-რგოლი, რომელიც ,,ოქროს კვეთას'' ეხება. ცნობილია, რომ ტერმინი „ოქროს კვეთა“, პირველად ლეონარდო დავინჩიმ დაამკვიდრა და იგი, თავის ნაწარმოებში „მონა ლიზა“- ში გამოიყენა. მოსწავლეებმა ასევე, პარალელი გაავლეს ლიტერატურულ ნაწარმოებებს და აღნიშნეს, რომ „ოქროს კვეთ“-ის პრინციპით არის დაწერილი „ვეფხისტყაოსანი“. მოსწავლეებმა რელიგიაშიც ვერ აუარეს გვერდი რიცხვებს და გაიაზრეს მათი პირდაპირი და სიმბოლური მნიშვნელობები.

**დოდო გაბესკირია,** ხელოვნების პედაგოგი: სპექტაკლის სცენარი ჩემი დაწერილია, პირველადი პროფესიით მათემატიკოსი გახლავართ და ეს თემაც ჩემთვის ახლობელია... ღონისძიების მიზანი იყო, VIა კლასის მოსწავლეებს,და არა მარტო მათ, დაენახათ რომ ხელოვნება უზარმაზარი სამყაროა , რომელიც მრავალ საინტერესო აღმოჩენას გვთავაზობს, უფრო დეტალურად დაენახათ მათემატიკის კავშირი ხელოვნებასთან და რელიგიასთან. გაეაზრებინათ ტერმინი „ოქროს კვეთა“, რომელსაც თავის წიგნში ლუკა პაჩოლიმ უწოდა: „განსაკუთრებული“', „უზრწყინვალესი“, „ენითუთქმელი“, „ზებუნებრივი“, „ღვთაებრივი“ და ა. შ. ვფიქრობ, ღონისძიების მიზანი მიღწეულა.

აღსანიშნავია, რომ **დოდო გაბესკირიამ** ღონისძიების დასასრულს სკოლის დირექტორს გადასცა სკოლის ბიბლიოთეკისთვის შექმნილი წიგნი: ,,მათემატიკა და ხელოვნება'', სადაც მათემატიკური მასალა საინტერესოდ არის წარმოდგენილი ხელოვნების ფონზე. იგი სასწავლო-შემეცნებითი ხასიათისაა და საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის არის განკუთვნილი.

მოსწავლეების წარმოდგენა დადებითად შეაფასა დირექტორმა **თეონა მაისურაძემ,** ლომისის წმ.გიორგის სახელობის ტაძრის ბერმა **მამა გიორგიმ** და გაზეთ „სახალხო განათლება+“-ის ჟურნალისტმა.

ღონისძიების დასასრულს, ქალბატონმა დოდომ სკოლას სამახსოვროდ გადასცა მოსწავლეებთან ერთად შექმნილი სასწავლო რესურსები: წიგნი, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის შექმნილი ფაზლები და აღდგომის დღის მათემატიკური გაანგარიშების ლამინირებული ცხრილები.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია **დოდო გაბესკირიას** თავდადებული შრომა და საქმისადმი სიყვარული. იგი ყოველთვის ცდილობს მოსწავლეებს შემოქმედებითი უნარი გაუღვივოს და დიდ ხელოვნებას აზიაროს. გასაოცარი იყო წარმოდგენილი სპექტაკლის სცენარი, რომელიც ორიგინალობით გამოირჩეოდა. მაყურებელთა დიდი ოვაციები დაიმსახურა.

ასევე, გაგვაოცა მოსწავლეთა მომზადების მაღალმა დონემ. მონაწილეებს თითქოს ხასიათის მიხედვით ჰქონდათ როლები შერჩეული, რაც ძალიან ბუნებრივი და შთაბეჭდავი სანახავი იყო. სპექტაკლმა, მართლაც დაუვიწყარი შთამბეჭდილება დაგვიტოვა, დაგვაფიქრა და ხელოვნების ჭრილში დაგვანახა მათემატიკა, რომელიც სულაც არ ყოფილა მოსაწყენი.

მზია გოგოძე





50 – „კომაროველები“ ტრადიციულ ავტორიტეტს ინარჩუნებენ – 50

# ევროპულ სტანდარტებს თვალს უსწორებენ



**კომაროვის** ფიზიკა-მათემატიკის სკოლა არსებობის 50 წლიან ისტორიას ითვლის. ამ ხნის მანძილზე არაერთი წარმატება უნახავს, როგორც ქვეყნის შიდა, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. სკოლაში მიღება მე-7 კლასიდან შერჩევის გზით ხდება. ეს არის უნიკალური შესაძლებლობა, ქვეყნის მასშტაბით, მათემატიკით დაინტერესებული მოსწავლეებისთვის, რომლებსაც საშუალება ეძლევათ, სწავლის საფასურის გარეშე მიიღონ თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი, მდგრადი განათლება.

კომაროვის წარმატების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მაღალკვალიფიციური მასწავლებლებია არამარტო პროფილურ საგნებში. სკოლის ტრადიციების გაგრძელებასა და აქ სწავლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაში გარკვეულ როლს ისიც თამაშობს, რომ მათემატიკისა და ფიზიკის პედაგოგების დიდი ნაწილი კომაროვის სკოლის კურსდამთავრებულია.

სკოლის ადმინისტრაციული და პედაგოგიური გუნდი მუდმივად ზრუნავს სკოლაში სასწავლო პროცესების გამრავალფეროვნებაზე, სასწავლო პროცესში ინოვაციური მეთოდების, უახლესი ტექნოლოგიების შემოტანასა და დანერგვაზე.

კომაროვს აქვს პანსიონი, სადაც სასწავლო წლის მანძილზე ცხოვრობენ რეგიონებში მცხოვრები განსაკუთრებით ნიჭიერი მოსწავლეები, რომელთაც სურვილი აქვთ მიიღონ განათლება კომაროვში და აბარებენ მისაღებ გამოცდებს. პანსიონში მათ აქვთ შესაბამისი საცხოვრებელი პირობები, რომელიც ყოველწლიურად უმჯობესდება, აქვთ საშუალება მიიღონ ყველა ის სერვისი, რასაც კომაროვი მრავალფეროვანი წრეებისა და კლუბების სახით, უფასოდ სთავაზობს მოსწავლეებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია **მათემატიკის, ფიზიკისა** და **ინფორმატიკის** წრეები, წარმატებული პედაგოგებით, რომლებიც მოსწავლეობისას მიღწეულ საკუთარ საოლიმპიადო წარმატებებს და გამოცდილებებს დაუშურებლად უზიარებენ ახალ თაობას. ამის შედეგია მოსწავლეთა არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო წარმატება. გარდა აღნიშნულისა, სკოლა მთელი წლის მანძილზე ზრუნავს პანსიონის მოსწავლეების სოციალიზაციაზე. ამ მიმართულების სასწავლო წლის პარალელურად, შესაბამისი სამსახურების მიერ, იგეგმება მრავალი საგანმანათლებლო, სპორტული, შემეცნებითი ადგილობრივი და გასვლითი ღონისძიებები.

**სკოლის ისტორია, დირექცია, ადმინისტრაცია, სტრუქტურა, რომელიც სრულად არის მორგებული მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე, ახალგაზრდა მოტივირებული კადრები, სკოლისადმი მიკუთვნებულობის ის განცდა, რაც კომაროველებს და სკოლის კურსდამთავრებულებს აქვთ კომაროვისადმი განაპირობებს, რომ სკოლა მუდმივად იყოს მოწინავე პოზიციებზე.**



როგორც წინა წლებში, 2018-19 სასწავლო წელსაც, ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებზე, კომაროვი კვლავაც პირველადგილოსანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა მათემატიკასა და ფიზიკაში!

ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადასა და ინფორმატიკის ეროვნულ ტურნირში გამარჯვებული მოსწავლეებიდან 37 კომაროველია, რომლებმაც გამარჯვებულის 44 ტიტული მოიპოვეს, მათ შორის 16 პირველი, მეორე ან მესამე ადგილია.



მათემატიკისა და ფიზიკის ოლიმპიადაზე გამარჯვებული მოსწავლეების 80%-ზე მეტი კომაროვის სკოლის მოსწავლეა, ინფორმატიკის ეროვნული ტურნირის გამარჯვებული მოსწავლეების 85%-მდე, ასევე კომაროვის სკოლის მოსწავლეა.

საქართველოს მათემატიკის ეროვნულ ნაკრებში 6-დან 5 წევრი, ფიზიკის ნაკრებში 5-დან 4, ქიმიის ნაკრებში 4-დან 2 წევრი, ხოლო ინფორმატიკის ნაკრებში 4-დან ოთხივე წევრი კომაროვის სკოლის მოსწავლეა. ეს ნაკრებები ზაფხულში მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო ოლიმპიადებზე.

საერთაშორისო ოლიმპიადებსა და ტურნირებზე სკოლის მოსწავლეებს 20-ზე მეტი ოქროს, 60-მდე ვერცხლის, 100-ზე მეტი ბრინჯაოს მედალი და 40-მდე საპატიო სიგელი აქვთ მოპოვებული.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაზე **ალექსანდრე საათაშვილმა** რეიტინგში მე-5 ადგილი დაიკავა, რომელსაც მხოლოდ ოთხმა აზიელმა მოსწავლემ გაასწრო, ხოლო 2018

გაგრძელება მე-5 გვ.





# ევროპულ სტანდარტებს თვალს უსწორებენ

მეოთხე გვერდიდან

წელს ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაზე **ნიკოლოზ ბირკაძემ** მე-4 შედეგი აჩვენა.






სკოლაში საერთაშორისო პროგრამების სამსახური ფუნქციონირებს, რომელიც მოსწავლეებს, ანაზღაურების გარეშე, ეხმარება უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად საჭირო დოკუმენტაციის შედგენასა და ორგანიზებაში. საერთაშორისო პროგრამების სამსახურის ხელმძღვანელი საერთაშორისო ასოციაციის წევრია და აქტიურად მონაწილეობს ასოციაციის მიერ დაგეგმილ ფორუმებსა და კონფერენციებში, ეცნობა ამ მიმართლებით არსებულ სიახლეებს და ნერგავს სკოლაში. შედეგად, ათეულობით კომაროველი, სრული დაფინანსებით, სწავლას აგრძელებს მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებსა თუ საგანმანათლებლო დაწესებულებებში როგორიცაა: American University in Bulgaria; Bradfield College; Chigwell School Worcester; Christs Hospital; Duke University; Fitzwilliam College; Hamilton College; Lafayette College; Massachusetts Institute of Technology; Oswestry School ; University of Pennsylvania; Polytechnic Institute; Stockholm School of Economics; Tonbridge School; University of Debrecen; University of Manchester; University of Cambridge; Duke Kunshan University; charls University და სხვა.

სკოლაში ასევე ფუნქციონირებს მოსწავლეთა ზრუნვის სამსახური, რომელიც ორიენტირებულია, მოსწავლეებს მისცეს ინტელექტუალური და სოციალური განვითარებისთვის ეფექტურ გარემოში სწავლის საშუალება. სამსახურის თანამშრომლები ყოველდღიურ რეჟიმში ახდენენ სკოლაში წარმოქმნილი, როგორც სოციალური, ასევე ინდივიდუალური პრობლემების იდენტიფიცირებას, ხდება მისი გაანალიზება და ისახება გადაჭრის გზები, რაც მოსწავლეთა, მშობელთა (მეურვეები) სკოლის თანამშრომელთა და სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის ერთიანი ჩართულობით ხორციელდება . იგეგმება შემდგომი შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები. სკოლისთვის მნიშვნელოვანია უსაფრთხო, დაცული, არაძალადობრივი, ჰუმანური, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო-აღმზრდელობითი გარემოს უზრუნველყოფა, რაც




სკოლის ადმინისტრაციის, კლასის დამრიგებლების, საგნის პედაგოგების, მოსწავლეების, მშობლების (მეურვეები) მულტიდისციპლინური მიდგომებით მიიღწევა.

მრავალფეროვანია სკოლის კურიკულუმი, რომელიც ყოველწლიურად ვითარდება. სკოლაში გაძლიერებული სტანდარტით ისწავლება მათემატიკა და ფიზიკა, ყველა სხვა საგნის სწავლება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამით. სასწავლო პროგრამებს ემატება სხვადასხვა ექსტრაკურიკულარული აქტივობები. მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით იქმნება კლუბები.

სკოლის კურსდამთავრებულებს აქვთ ბრწყინვალე შედეგები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე არამარტო მათემატიკასა და ზოგად უნარებში. აღსანიშნავია მოსწავლეების კარგი შედეგები ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

სკოლის დირექციას კარგად აქვს გააზრებული სკოლის როლი მოსწავლის განვითარებაში, რაც არა მხოლოდ ფორმალურ გარემოში აკადემიური განათლების მიღებას, არამედ პიროვნების აღზრდას, სოციალიზაციასა და საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრების ხელშეწყობასაც გულისხმობს. ყოველივე ამის ხელშესაწყობად სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა პროექტებისა და განვითარების სამსახური, რომლის ორგანიზებითაც ეწყობა მრავალი არასასკოლო, სპორტული, შემეცნებითი აქტივობა. დღეს კომაროვში 14 კლუბი ფუნქციონირებს, ესენია, **ინგლისური დებატების კლუბი, ისტორიის მოყვარულთა კლუბი, დრამის კლუბი, მოაზროვნეთა კლუბი, ჟურნალისტთა კლუბი, სპორტის კლუბი, ხელოვნების კლუბი, მოხალისეთა კლუბი, დებატების კლუბი, ბუნებისმეტყველთა კლუბი, სახალისო ქიმიის კლუბი, აგრარული კლუბი, კინო კლუბი, ფიზიკური პროგრამირების კლუბი.**



ხაზგასასმელია პროექტები, რომელიც ემსახურება თბილისისა და რეგიონების სხვა სკოლების მოსწავლეებს. ეს პროექტები საზოგადოებაში კარგად არის ცნობილი **„შაბათის სკოლისა“** და **„საღამოს სკოლის“** სახელით. ეს არის არაჩვეულებრივი შესაძლებლობა თბილისისა და რეგიონების სხვა სკოლის მოსწავლეებისათვის განივითარონ პროექტების პროგრამით განსაზღვრული უნარები. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ პროექტებში დასაქმებულია ასობით ადამიანი.

**„შაბათის სკოლის“** პროგრამა მოსწავლეებს აძლევს საშუალებას განივითაროს რაოდენობრივი და ლოგიკური აზროვნების უნარები და გარდა ამისა გაიფართოვოს, გაიმრავალფეროვნოს თვალსაწიერი.

პროექტი **„საღამოს სკოლა“** ორიენტირებულია სხვა სკოლის მოსწავლეებს მისცეს შესაძლებლობა, მათემატიკისა და ფიზიკის პროგრამა გაიარონ გაძლიერებული სტანდარტით.

დღეს თამამად შეიძება ითქვას, რომ სკოლა არის ერთ-ერთი პირველი ქვეყნისა და რეგიონალური მასშტაბით. სკოლის ცნობადობა იზრდება დღითიდღე და შესაბამისად, იზრდება სკოლაში და სკოლის მიერ განხორციელებულ პროექტებში სწავლის დაწყებისა და გაგრძლელების მსურველთა რაოდენობა.

**ახალი მწვერვალების დაპყრობას გისურვებთ, „კომაროველებო!“**

მარიამ შალიკაშვილი,
ნათია გურგენიძე.

145-ე საჯარო სკოლა სანიმუშოა

# იგი ასევე სანდოა და უსაფრთხოა





**ბავშვთა** დაცვის დღე აღინიშნა თბილისის 145-ე საჯარო სკოლაში. სადაც დირექტორი **მაია ოსიყმიშვილი,** გულთბილად მიესალმა მოსწავლეებს და საინტერესო ღონისძიება წარუდგინა. მოსწავლეების აქტიურობამ და შემოქმედებითმა უნარებმა კი, მოწვეული სტუმრებისა და პედაგოგების აღფრთოვანება



დაიმსახურეს. სასწავლებელი ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი აკადემიური სწავლებით და უსაფრთხოებით. ამიტომაც, ყოველწლიურად იზრდება სკოლის რეიტინგი, აქ სწავლის მსურველთა რიცხვიც დიდია.

სკოლის წარმატება დიდწილად, კარგი ხელმძღვანელის და მენეჯერის დამსახურებაა. **მაია ოსიყმიშვილი,** მოადგილე **მარინა კოლუაშვილთან** ერთად



მოსწავლეებისთვის ქმნის თბილ და კომფორტულ გარემოს. შესანიშნავად მუშაობს სკოლის თვითმმართველობა, მანდატურის სამსახური და მშობელთა კომიტეტი.

145-ე საჯარო სკოლა ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება განათლების სფეროს სიახლეებს და გამოირჩევა თანამედროვე ნოვაციებით. საამაყოა, რომ წელს სკოლას 9 ოქროს მედალოსანი ჰყავს. ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ დიდი ყურადღება ექცევა ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდას. ინტელექტუალურ-სპორტულ აქტივობებში კი, მშობლებიც არიან ჩართულნი.

საგულისხმოა, რომ თბილისის მასშტაბით, სკოლის მოსწავლეთა ფრენბურთის გუნდს, სპორტის მასწავლებლის დავით ლიპარტელიანის ხელმძღვანელობით, დიდი წარმატება ხვდა წილად და თასიც გადაეცა. ასევე, აღსანიშნავია „მახვილგონიერთა“ პრიზით დაჯილდოება, რომელიც ბავშვებმა დედაქალაქის მასშტაბით მოიპოვეს, ისტორიის მასწავლებლის **ლაურა ბიწაძის** ხელმძღვანელობით.

სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების განვითარებას. ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებლის **შორენა ხმალაძის** მიერ შექმნილი სცენარის მიხედვით, მე-10 კლასის მოწავლეებმა პანტომიმის თეატრში წარადგინეს სპექტაკლი **„მესერი“,** რომელმაც მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ახლახან, მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ქობულეთში გამართულ ფესტივალში **„მზიანი საქართველო“,** სადაც ტრადიციული, ინსცენირებული ზღაპრები წარადგინეს. მონაწილეებს და პედაგოგებს **ნინო ჯახიას, მირანდა ფურცხვანიძეს** სამახსოვრო სიგელები გადაეცათ. სკოლის მოსწავლეები ჩართულები არიან **„ეტალონი“**-ს ინტერნეტ-პორტალში **„izrune.ge“,** სადაც წარმატებით მუშაობენ ტესტებზე. პირველი მეორე კლასის მოსწავლეებმა ორჯერ მოიპოვეს „სუპერ კლასის“ ტიტული. კლასის დამრიგებელია **ლელა გვაზავა**. სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სადაც სტუდენტები პრაქტიკულ კურსს გადიან და სკოლაში გაკვეთილებს ატარებენ.

145-ე საჯარო სკოლა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით. წამყვანი პედაგოგია, ბიოლოგიისა და ბუნების მეტყველების მასწავლებელი **მარინე ბაგალიშვილი**, რომელიც გახლავთ ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესიული განვითარების ცენტრის ტრენერი. იგი არის გრიფირებული სახელმძღვანელოს თანაავტორი და ამ კუთხით, ამჟამადაც მუშაობს. ასევე, აწარმოებს კვლევას სკოლის საჭიროებებთან და-





კავშირებით, სახელწოდებით: **„ბულინგი და მისი პრევენცია“.** ქალბატონი მარინეს ინიციატივით სკოლაში საინტერესო აქტივობები და ღონისძიებები ხორციელდება. მათ შორის, მოსწავლეები უკვე ორი წელია ჩართულები არიან ილიაუნის საერთაშორისო პროექტში **„Arist“,** რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა დაინტერესებას საბუნებისმეტყველო საგნებით. ასევე, ხელს უწყობს პროფესიული ინტერესის გაღვივებას, რათა დასაქმდნენ სამედიცინო და კვების მრეწველობასთან დაკავშირებულ საწარმოებში.

როგორც ზემოთ ითქვა, 145-ე საჯარო სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობას. სკოლის შესახებ საკუთარ შეხედულებებს გვიზიარებენ მშობლები.

**ნინო ბუზიაშვილი,** მე-4 მეორე კლასის მოსწავლის **თეკლა ბუზიაშვილის** მშობელი: მთავარია, რომ სკოლა გამოირჩევა სანდოობით და უსაფრთხოებით. სასწავლო პროცესი შესანიშნავია და დიდი ყურადღება ექცევა ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდას. ჩემი შვილი სკოლაში დაცულად გრძნობს თავს და ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**მაია კაკაბაძე,** მე-5 პირველი კლასის მოსწავლის **გიორგი ჯიბუტის** მშობელი: ჩემთვის სკოლის შერჩევის კრიტერიუმი არის - სანდოობა და მიხარია, რომ სწორედ, იქ სწავლობს ჩემი შვილი, რომელიც ყველაზე საიმედოა. სკოლის დირექტორი და პედაგოგები გამოირჩევიან გულისხმიერებით და პროფესიონალიზმით, რომლებიც მოსწავლეებს აწვდიან აკადემიურ განათლებას.

მშობლების და მოსწავლეების კმაყოფილება სკოლის წარმატებულ საქმიანობაზე მეტყველებს. აქ მართლაც შესანიშნავი გარემოა შექმნილი, იგრძნობა ურთიერთპატივისცემა და სკოლა რეფორმის ხორცშესასხმელად მზად არის.

მზია გოგოძე





ნომრის სტუმარია 176 -ე საჯარო სკოლა

# სასწავლო წლის შედეგები წარმატებულია



**ჩვენი** გაზეთის სტუმარია 176-ე საჯარო სკოლა, რომელიც ხარისხიან განათლებაზეა ორიენტირებული და დედაქალაქის სხვა სკოლებს შორის ერთ-ერთი მოწინავეა. როგორც გვითხრეს, სკოლა გამოირჩევა წესრიგითა და უსაფრთხოების წესების ზედმიწევნით დაცვით. სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესით კი, კმაყოფილი არიან როგორც მოსწავლეები, ასევე მშობლები. აღნიშნული სკოლა მოწოდებულია იმისთვის, რომ აღზარდონ მომავალი ჯანსაღი და განათლებული თაობა, რომელიც საქართველოს მოუვლის და სწორი გზით წაიყვანს, გააგრძელებს ტრადიციებს, გაუფრთხილდება ეროვნულ ფასეულობებს. სწორედ, ეს კრიტერიუმებია 176-ე სკოლის მთავარი მახასიათებელი, რაც დირექტორის და პედკოლექტივის დამსახურებაა. იგი ზუსტად მიესადაგება რეფორმის მოთხოვნებს.

სკოლას ხელმძღვანელობს შემოქმედი პედაგოგი **ეკა გაბინაშვილი,** რომელიც გამოირჩევა პროფესიონალიზმითა და შესანიშნავი მენეჯერული თვისებებით. ქალბატონი ეკა მუდმივად ცდილობს სიახლეები დანერგოს და არსებული ტრადიციები ინოვაციებით გაამდიდროს. დირექტორს ერთგულად მხარში უდგანან მოადგილეები: **მანანა კენკებაშვილი** და **ვერიკო სულხანიშვილი**. სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად არის ჩართული სამეურვეო საბჭო, რომლის თავმჯდომარეა **დალი გეგენავა.**



საგულისხმოა, რომ 2018-2019 სასწავლო წელს, სკოლა როგორც ყოველთვის, ბევრი სიახლით შეხვდა. სასიამოვნო სანახავია ახალი ინფრასტრუქტურა, გარემონტებული საკლასო ოთახები, განახლებული ინვენტარი. რაც შეეხება სასკოლო ცხოვრებას, დაიგეგმა ინოვაციური და თანამედროვე სწავლებას მორგებული უამრავი აქტივობა, ეს კი დირექტორის დიდი შრომის შედეგია. სასიხარულოა ისიც, რომ სკოლას უკვე აქვს სანატრელი თანამედროვე სტადიონი, ამას გარდა, სასწავლო პროცესში დაიგეგმა ბევრი ახალი იდეა, რომლის განხორციელებას **ეკა გაბინაშვილი** განათლებისა მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით აპირებს.



მისასალმებელია, რომ ინფრასტრუქტურა ასე კარგად არის მოწესრიგებული და სასწავლო გარემო შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. სკოლა აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკით და კაბინეტ-ლაბორატორიებით. ასე რომ, შექმნილია ყველანაირი პირობა როგორც პედაგოგებისთვის ასევე, მოსწავლეებისთვის. სკოლაში ზრუნავენ მოსწავლეთა პროფესიულ განათლებასა და პიროვნულ ზრდაზე. სწორედ, უსაფრთხო სასკოლო გარემომ განაპირობა მოსწავლეთა კონტინგენტის ზრდა. სკოლაში ოთხი პირველი კლასი და 110 პირველკლასელია. სკოლას ჰყავს 30 უფროსი და 3 წამყვანი პედაგოგი.

176-ე სკოლაში აქტიურად მუშაობს საგნობრივი კათედრები, კოლეგები განიხილავენ და ერთმანეთს უზიარებენ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მოწოდებულ ნებისმიერ სიახლეს. გაგაცნობთ საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელებს, ქართული ენა და ლიტერატურა: **ნინო მათარაშვილი,** მათემატიკა: **შორენა სისვაძე**, უცხო ენები: **ნუნუ ებილაშვილი**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ლია **ალავერდოვი**, სპორტი და ესთეტიკური აღზრდა: **ნატო პავლიაშვილი**, დაწყებითი კლასები: **ნათია ნანობაშვილი**, საზოგადოებრივი მეცნიერებები**: ნინო საგინაშვილი.**



სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით, აუდიო-მასალებით და კლასიკური თუ ახალი ლიტერატურით.

ასევე, აქტიურად მუშაობს სკოლის თვითმმართველობა. მისი ინიციატივით უფროსკლასელები ჩაერთვნენ კონკურსში **„შენი უბნის იდეა“** ორგანიზაციამ **„იარე ფეხით“,** მოიპოვა გამარჯვება და გაამწვანა ეზო, რამაც კიდევ უფრო შეცვალა სკოლის იერ-სახე. ასევე, ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი, ღონისძიებაზე შემოსული თანხით (რომელიც შეგროვდა სხვადასხვა შემოწირულობით), დაეხმარნენ ძეგვის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლს.

აღსანიშნავია, რომ სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა კონკურსებში და ოლიმპიადებში, საიდანაც სიგელებითა და დიპლომებით ბრუნდებიან. შარშან, სკოლას ჰყავდა ოთხი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალოსანი. მოსწავლეების 90% ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში. 30 პროცენტმა კი, სახელმწიფო დაფინანსებაც მოიპოვა. მოსწავლეები ასევე, მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობენ.



დირექტორის თქმით, სხვადასხვა აქტივობებში მოსწავლეთა ჩართულობა მაღალია. მაგალითად, მესამე კლასის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის დაძმობილების პროექტში **„გარემოს ჯანმრთელობის სისტემის ინსტიტუციური გაძლიერება საქართველოში“** და საპრიზო ადგილიც დაიკავეს.

დირექტორი **ეკა გაბინაშვილი** და პედაგოგიური კოლექტივი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ იყვნენ საუკეთესო საუკეთესოთა შორის. მათი უდიდესი სურვილია, აღზარდონ მრავალი ჭეშმარიტი, განათლებული, ღირსეული მოქალაქე, რათა მნიშვნელოვანი წვრილი შეიტანონ ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.





ანანო სამელია

პედაგოგის პოეტური პალიტრა

# მზრდელი ყრმათა რუსთველური სინატიფით



**ბედნიერებაა**, როცა მოსწავლეებს ჰყავთ ქართულის დიდებული მასწავლებელი და ორგზის დიდი სიკეთეა, თუ იგი პოეტი გახლავთ. ხუმრობით თუ ვიტყვით, ასეთ შემთხვევაში ორ კურდღელს ვიჭერთ: მაღალია სწავლების ხარისხი და ფართოა მოზარდის ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაწიერი. იქნებ არ იყოს ზუსტი შედარება, მაგრამ წარმოვიდგინოთ: სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდე **ლადო ასათიანი** (ყველამ უნდა იცოდეს - ეგზომ პოპულარული პოეტი, ქუთაისის პედინსტიტუტის აღზრდილი, პროფესიით პედაგოგი იყო).

ასეთი პედაგოგი გახლავთ დედაქალაქის 142-ე საჯარო სკოლის ქართული ენა-ლიტერატურის გამოცდილი, ერუდირებული მასწავლებელი **მაყვალა გერმანოზაშვილი**. გარდა იმისა, რომ ჩინებულ გაკვეთილებს ატარებს, როგორც იტყვიან, „ცოდნას თავში უდებს მოზარდებსო“, ექსკურსიებს, შთამბეჭდავ ლიტერატურულ ღონისძიებებს, კონკურსებს აწყობს. ხომ იცით, „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდება, საშვილიშვილოდ გარდაეცემის“. ეს ყველაფერი, სწავლების ხარისხის ამაღლებასთან ერთად, თაობებს ზრდის **რუსთველური სინატიფით.**

**მაყვალა გერმანოზაშვილის** პოეტური თემატიკა უპირატესად განისაზღვრება ილიას შეგონების სამსახურით: **„მამული, ენა, სარწმუნოება“.** გთავაზობთ რამდენიმე ლექსს, უპირატესად ნაწყვეტებს ციკლიდან **„ოდესღაც ალბათ“.**

**რედაქტორი**

## მაყვალა გერმანოზაშვილი

### ცისა ფერიანი

**ოცნება** ბავშობიდან
დღემდე თანამდევი,
სულში ასარკული
ზეცის ანარეკლი...
სანთლად ანთებული,
ჯერაც ჩაუმქრალი,
ცოტა მხიარული,
ბევრი- სევდიანი...
მაინც ლამაზი და
მაინც ფიქრიანი,
სულში ჩაბეჭდილი
ცისა ფერიანი...

### ოდესღაც, ალბათ
(ნაწყვეტი)

**ოდესღაც,** ალბათ, უფლის განგებით,
მტრისგან ნგრეულის კვლავ აღსადგენად,
მოგვევლინება ღვთისმშობლის წილხვედრთ
მეფე დავითი აღმაშენებლად...

სნეულ-საპყართა სანუგეშებლად,
გლახაკთ მადლისა დასარიგებლად,
ეკლესიათა და მონასტრებში
უბიწოების დასამკვიდრებლად...

ოდესღაც, ალბათ, გელათის ტაძარს
აღაშენებენ მეფის ბრძანებით,
ცოდნის ლამპარი აკიაფდება
და განათლდება ქართველი ერი...

ოდესღაც, ალბათ, ურიცხვი მტერი,
დავითის შიშით უკუქცეული..
მეფე დიდგორში ხმალდაღვარქნილი
ქართლში შემოვა გამარჯვებული...

დარდი და სევდა მოძებნის მეფეს,
შემოაწვება მძიმე ფიქრები...
ცრემლი იწვიმებს მეფის თვალთაგან,
სინანულისა საგალობელის...

### ოდესმე ალბათ
(ნაწყვეტი)

**ოდესმე,** ალბათ, იბერთ ღირსებად
ქართლში კელაპტრად ამონთებული,
ხმას აღიმაღლებს ექსარხოსის წინ,
დაწყევლილ ერით გულდათუთქული...

„თვალლიბრგადაკრულ“ქართველთა შორის
შეუპოვარი დიმიტრი წრფელი,
უცხო მიწაზე გადახვეწილი,
მკვლელის ხელიდან მიძინებული...

მძინარ მოძმეთა მეგანთიადე,
მათი სინდისის გამღვიძებელი,
სულით რაინდი, თავდადებული
მთაწმინდის კალთას დავანებული...

### გაზაფხულის იდილია

**ლილოჭრელოს** შეუმჩნევლად
შერეოდა ენძელა...
თოვლში თავის ამოჩენა
თუმც ძალიან ეძნელა.

ყინვასა და სითბოს შორის
იდგა, ფერს არ იცვლიდა...
ზამთარს ემშვიდობებოდა,
გაზაფხულს ხელს უქნევდა.

მაგნიტივით იზიდავდა,
ქვეყნად სითბო მოჰქონდა...
ცისფერთვალა ია მორცხვად
ბუჩქის ძირას თავს ხრიდა.

ტყემლებს ფიფქის სამოსელი
საზეიმოდ მოესხათ...
ნუშსაც მათთვის მიებაძა,
თოვლის კაბა ჩაეცვა.

ალუბალსაც ცოტა აკლდა,
კვირტში გამოსულიყო...
ცივი სიო აჩერებდა,
არ გადარეულიყო.

შლეგმა მარტმა წვიმის შხაპით
საპატარძლო კაბები
დაუსველა, გააცია
საქორწილო მაყრები.

მერე ქარი ამოვარდა,
აფრა ააშრიალა...
მზემ თავისი სხივთა კონა
მცივანთ გამოუგზავნა.

### ოდესღაც ალბათ
(ნაწყვეტი)

**ოდესღაც**, ალბათ, „ბედნიერ ერის“
სულიერ თვალის გასანათებლად
წმინდა, მართალი მამულიშვილი
წინამურის გზას სისხლად დაღვრილა...

გამოცდილება - ყველას!

# კლასგარეშე მუშაობის როლი სასკოლო ცხოვრებაში



**რატომ** არ უყვარს ბავშვების დიდ ნაწილს სკოლა? ხშირად მიფიქრია ამ საკითხზე და მიკითხავს ჩემი თავისთვის, რა გახდიდა სასკოლო გარემოს მიმზიდველს მოსწავლეებისთვის? რა სურთ ბავშვებს და რას ვთავაზობთ ჩვენ? არადა, სკოლის, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების დანიშნულება მოზარდის პიროვნებად ფორმირებას გულისხმობს, მის გონებრივ, მორალურ-ზნეობრივ და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანად ჩამოყალიბება **(ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები).** მასწავლებლებიც თითქოს ვცდილობთ ჩვენი მუშაობა და საგაკვეთილო პროცესი გავამრავალფეროვნოთ. მაშინ რატომ ხდება ასე? საკამათო არაა ის ფაქტი, რომ ადამიანს უყვარს ის გარემო, რომელშიც იგი მიღებული, დაფასებული და რეალიზებულია, რომელშიც შეუძლია წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები ან შეიძინოს ისინი, ეს კი, ალბათ დამეთანხმებით, რომ მხოლოდ საგაკვეთილო პროცესში ცოდნის მიწოდებითა და უკუკავშირით ვერ მიიღევა, **ამასთან დაკავშირებით მარია მონტერსორი თავის საეტაპო ნაშრომში „განათლება ახალი სამყაროსთვის“ წერდა, რომ განათლება არ არის ის, რასაც მასწავლებელი გვაძლევს; განათლება ინდივიდის მიერ სპონტალურად მიღწეული ბუნებრივი პროცესია, რომელსაც ვიღებთ არა მოსმენის, არამედ განსაზღვრულ გარემოში მიღებული გამოცდილების ხარჯზე.** ასეთი გამოცდილება კი მიიღწევა მოსწავლეთა ჩართვით სხვადასხვა საინტერესო აქტივობებში, კლასგარეშე მუშაობებში, რომლის ერთ-ერთი ფორმაა საკლუბო მუშაობა.

დღეს ყველაზე ხშირად გვესმის საუბარი იმასთან დაკავშირებით, რომ სკოლის ფუნქცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ცოდნის მიწოდებით, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის უნარები, რომლებიც მოსწავლემ სკოლაში უნდა შეიძინოს: **თავდაჯერებულობა, კომუნიკაცია, პასუხისმგებლობა, შემოქმედებითობა.**

ყველა ბავშვი უნიკალურია თავისი მოცემულობით, შემოქმედებითი ინტერესით, სკოლამ სწორედ ამის აღმოჩენას უნდა შეუწყოს ხელი, ამ კუთხით, ვფიქრობ, სწორედ ამიტომაა მნიშვნელოანი კლასგარეშე აქტივობები, რომელშიც მოსწავლეეებს ექნებათ შესაძლებლობა განსხვავებული კუთხით წარმოაჩინონ თავი. მოსწავლე შესაძლოა არ გამოირჩეოდეს რომელიმე საგანში მაღალი აკადემიური მოსწრებით, მაგრამ ჰქონდეს ისეთი ინტერესი, ნიჭი და უნარები, რაც დაეხმარება მას ადაპტირდეს საზოგადოებაში ამ კუთხით. ამით აიმაღლოს თვითშეფასება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ცხოვრებაში წარმატებისთვის.

მინდა გაგიზიაროთ ჩემი საკლუბო მუშაობის გამოცდილება. ამ გამოწვევათა საპასუხოდ სკოლაში ჩამოვაყალიბეთ **„თანამედროე მკითხველთა კლუბი“,** რომლის უპირველესი მიზანი მოსწავლეებში წიგნიერების ამაღლება, ლიტერატურის პოპულარიზაცია და მოაზროვნე პიროვნებების ჩამოყალიბება იყო.

ჩამოვაყალიბეთ კლუბის საორგანიზაციო ჯგუფი, რომელიც ხელმძღვანელობდა კლუბში ღონიძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, შევქმენით ინტერნეტ გვერდი **(„83-ე სკოლის თანამედროვე მკითხველთა კლუბი“),** შევადგინეთ კლუბის წესდება, სამოქმედო გეგმა, ლოგო. გამომდინარე იქიდან, რომ კლუბი ლიტერატურულია, ერთ-ერთი აქტივობა, რომელმაც სისტემატური სახე მიიღო, იყო წიგნების პრეზენტაცია, პრეზენტატორები თვიანთ საყვარელ წიგნებს აცნობდნენ თანატოლებს, უზიარებდნენ მისგან მიღებულ შთაბეჭდილებას და სთავაზობდნენ წასაკითხად. ასევე კლუბში ვმართავდით ერთსა და იმავე თემაზე შექმნილ რამდენიმე წიგნის ერთობრივ განხილვას და დისკუსიებს. საკლუბო მუშაობის ეს ხაზი ხელს უწყობს მოსწავლეებში წიგნიერების ამაღლებას და მათ კრიტიკულ, მოაზროვნე მკითხველად ჩამოყალიბებას.

ამ პროექტმა მთელი სკოლა გააერთიანა, დამსწრე და პეზენტაციის მსურველთა რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ მოწავლეებს მოსწონთ არაფორმალურ გარემოში მათთვის საინტერესო თემებზე მუშაობა და საუბარი, ასევე ის ფაქტიც, რომ ისინი თანატოლების წინაშე წარსდგებიან, ისმენენ დადებით შეფასებებს, აღტაცებას, ინტერესდებიან ერთმანეთის გემოვნებით.

კლუბის მუშაობის ფარგლებში მოვიწვიეთ მოსწავლეები მეზობელი სკოლებიდან, რამაც სხვადასხვა სკოლის თანატოლებიც დააახლოვა ერთმანეთთან.

საღამოების მოწყობა საორგანიზაციო ჯგუფში შემავალი მოსწავლეებისგან გარკვეული უნარების მობილიზებას მოითხოვს, **დაგეგმვა, მართვა, პასუხისმგებლობის განაწილება, კომუნიკაცია, მსჯელობა, ანალიზი - ეს სასიცოცხლო უნარებია, რომლებსაც ისინი კლასგარეშე მუშაობისას უშუალოდ პრაქტიკაში გამოიმუშავებენ,** ხოლო ამ პროცესის მრავალჯერადობა მათში ამ უნარს კიდევ უფრო განამტკიცებს. ასეც მოხდა, მეორე და შემდეგი შეხვედრების ორგანიზებისას მათ თითქმის დამოუკიდებლად უხელმძღვანელეს საკლუბო საღამოებს.

კლუბის **„შთაბეჭდილებელის დღიურში“** ჩანაწერების მიხედვით **„მკითხველთა კლუბის“** დაარსება და მუშაობა წლის საუკეთესო მოვლენად დასახელდა.

წლის ბოლო შემაჯამებელ საღამოზე გავმართეთ დაჯილდოვება, სადაც სკოლაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვავლინეთ „წლის პრეზენტატორი“, ასევე მოსწავლეთა წახალისების მიზნით, წარმოდგენილი იყო სხვა ნომინაციებიც.

ამ ყველაფრის ანალიზმა დამარწმუნა იმაში, რომ თუ გვსურს ჩვენი მოსწავლეები იყვნენ წარმატებულები და შემოქმედებითები, აუცილებელია, მათ მივცეთ თავისუფალი, საინტერესო და მასტიმულირებელი სივრცე სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობების სახით, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ასე დახარჯული დრო და ენერგია ჩვენი პედაგოგიური მუშაობის ყველაზე დიდი გამართლებაა.

**თამარ ონიანი,**
83-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი.

სასწავლო წლის ფინიშზე - 156-ე ბაგა-ბაღის წარმატებები

# არდადეგები! — „გიგლა, გეყოფა სწავლა - ახლა კარგია გავლა“



**ბავშვები** ყოველთვის გრძნობენ გულწრფელ და გულისხმიერ დამოკიდებულებას და სიხარულით მიისწრაფიან იმ ადგილისკენ, სადაც დიდი სითბო და სიყვარული ხვდებათ. სწორედ, ასეთი ადგილია აღსაზრდელებისთვის 156-ე ბაგა-ბაღი, სადაც პატარები მუდამ ლაღად გრძნობენ თავს.



უკვე ათი წელიწადია, 156-ე ბაგა- ბაღს შესანიშნავად ხელმძღვანელობს ენერგიული და გამოცდილი პედაგოგი **ელენე თურმანიძე**, რომელიც კარგად ერკვევა სკოლამდელი აღზრდის სისტემაში. იგი, ბაღში მუშაობს 1992 წლიდან, თავდაპირველად აღმზრდელად, ხოლო 2007 წლიდან კი მოადგილედ, 2009 წლიდან დირექტორია. აქ ყველაფერი წესრიგშია და მომხიბვლელად გამოიყურება. ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის **კახაბერ გვანცელაძის** მხარში დგომით, ეზო მოწესრიგებულია და დამშვენებულია სხვადასხვა მცენარეებითა თუ ატრაქციონებით. შენობა კი , ესთეტურად გამოიყურება, საბავშვო ოთახებს და დერეფნებს ალამაზებს პატარების შემოქმედება აპლიკაციები და ხელნაკეთი ნივთები. მოწესრიგებულია სველი წერტილები და სამზარეულო აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით.

**ელენე თურმანიძე**: საბავშვო ბაღი ჩემი მეორე ოჯახია. ჩემი დირექტორობის პერიოდში ბაგა-ბაღის შენობის ფასადი სრულიად შეიცვალა, გაკეთდა შენობის სახურავი, ეზოში მოეწყო გასართობი მოედნები, სამზარეულო აბსოლუტურად განახლდა და სრულიად აკმაყოფილებს ახალ სტანდარდებს; ასევე, ჯგუფების სველი წერტილები გარემონტდა, უნიტაზები და ხელსაბანები შეესაბამება ბავშვების ასაკს. ჯგუფები შეივსო ახალი სახელმძღვანელოებით, სათამაშოებით და აღიჭურვა საჭირო ინვენტარით. სანიტარული ნორმები დაცულია და კვებაში იყო ცოტაოდენი პრობლემები, მაგრამ შეიცვალა მომწოდებელი და საქმე მოგვარდა. ჩვენთან უზრუნველყოფილია უსაფრთხოების ნორმები: მეორე სართულის ფანჯრებზე დამაგრდა დამცავი ბადეები და შენობაში დამონტაჟდა სახანძრო უსაფრთხოების სიგნალიზაცია, თავისივე მანიშნებელმანათობლებით... რაც შეეხება



ბაღის სასწავლო პროცესს, აღმზრდელები ამ ეტაპზე გადიან ტრენინგებს, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.





საბავშვო ბაღში 30 აღმზრდელია, რომლებიც დედასავით მზრუნველობენ პატარებზე. ესენია: **ანა ჟღენტი, იზოლდი გოდერძიშვილი, ირმა პაპიძე, იზოლდა ქეთიშვილი, იზა ბოჭორიშვილი, თამარ ძნელაშვილი, დალი არჩვაძე, ეთერ პაპუნაშვილი, ია აბაშიძე, დარეჯან გელაშვილი, ირმა მურმანიშვილი, ფატმან ბიტარიშვილი, თამარ გვაზავა, მაია ქოჩიაშვილი, ნათია შალიბაშვილი, მაია მახარაშვილი, ჟუჟუნა კირვალიძე, ესმა ოტიაშვილი, ნინო სვანიძე, ნათია მინდიაშვილი, მადლენა ფირცხალაიშვილი, დარეჯან ოთიურიძე, ქეთევან ჩუტკერაშვილი, მეგი აბაშიძე, ეკა ყიფიანი, მაია არაბული, მაკა ლორია, მაკა ფოჩხუა, ლალი ლომიძე და მაია მაღულარია. მათ მხარში უდგანან თანაშემწეები: ნინო ჭითანავა, მაია ყიფიანი, თეა ილურიძე, ნაილი ლაბაძე, ეკა ზამბახიძე, ირმა მახარაშვილი, ლიანა ოგანეზოვი, ელენე თალაკვაძე, ლალი თაბაგარი, ია კურატაშვილი, დიანა აკოფოვი, მარიკა აბულაძე, ნანა მელქაძე, ნინო ქევხიშვილი, ნინო კვანტრიშვილი, ეკატერინე მღებრიშვილი, მაია ქიმაძე, ნათელა არაბული, თამარ ჟამერაშვილი, ნანა გიორგობიანი** და **ლელა ჯანჯულია.**

პატარებისთვის ყოველწლიურად ტარდება საახალწლო ზეიმები დამამთავრებელ ჯგუფებში გამოსაშვები ზეიმები, ხოლო წლის ბოლოს ყველა ჯგუფში - მხიარული თამაშები (სტარტები). პატარებს მუსიკას აყვარებენ პედაგოგები: **ნინო ხვედელიძე** და **ბელა კამლაძე.** ცუგრუმელებს ცეკვის გაკვეთილებს უტარებს **ქეთევან ახალკაცი.** საგულისხმოა, რომ ბაღის წარმატებაში დირექტორს მხარში აქტიურად უდგას მისი მოადგილე **მაკა ჯიბუტი,** ასევე საქმისმწარმოებელი **ხათუნა მახარაშვილი,** საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **თამარ დვალი,** სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **სოფიო ავეტისოვი,** საქმისმწარმოებლები **ხათუნა ხვიჩია** და **მალხაზ უჯმაჯურიძე.**



დირექტორი კმაყოფილია ფსიქოლოგის **ნათელა ბედიაშვილის**, სპეცპედაგოგების **ნანა ქადაგიშვილის, ვერა ხურცილავას,** ლოგოპედის **ნათელა ჭამპურიძის**, ჯანმრთელობია და ჰიგიენის კოორდინატორების **ელისო ჭუმბურიძის** და **ლალი ჯანიკაშვილის** საქმიანობით. ასევე, მადლობას იმსახურებენ მზარეული **ნინა გელაშვილი** და მისი დამხმარეები: **ნელი მწარიაშვილი, მზია წიქარიშვილი, ქეთევან ასპანიძე** და **ხათუნა მუმლაძე.**

საერთო წარმატებაში არანაკლები წვლილი მიუძღვით ტექნიკურ პერსონალს, ესენია: **ლუიზა თათარიძე, მარინა კორინთელი, თამარ ნასარიძე, მარინა ხუჭუაჯულაყიძე, ეთერ ბერაძე, მაია მიქელაძე, ლია არდაზიშვილი, მარო თომაევი, ასმათ კაციტაძე, ზაირა მახარაშვილი, მაკა ბრეგვაძე, ხანუმ ხუდოიანი, ნინელი მიჩიტაშვილი, თამილა დავითაშვილი, თამაზ ჩიკვილაძე, კობა ტაბატაძე, შაქარ ადუაშვილი, ოთარ ხალათაშვილი** და **ელვარდ ჯულელი.**



ეს სასწავლო წელი დიდი წარმატებით დაასრულეს. სექტემბერს სიახლეებით შეხვდებიან.

არდადეგებს გილოცავთ, ბაღდამთავრებულებს კი - პირველ კლასში წასვლას!

მზია გოგოძე

### ბედნიერ არდადეგებს გისურვებთ, 34-ე ბაგა-ბაღელებო!

# აქ ყველაფერია პატარების ეფექტიანი განვითარებისთვის



**ნახევარ** საუკუნეზე მეტია ჩუღურეთის რაიონში, ტერენტი გრანელის ქუჩაზე 34-ე ბაგა-ბაღი ფუნქციონირებს. აქ ბავშვთა განათლებასა და მათ კეთილდღეობაზე დედასავით ზრუნავენ. მე-12 წელია ბაღს სათავეში უდგას საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დოქტორი, პედაგოგი **ლალი ქემხაძე**. პედაგოგიურ ოჯახში აღზრდილს ბავშვების სიყვარული და მათთან ურთიერთობა ყოველთვის ხიბლავდა. მეცნიერულ შრომას შესანიშნავად უთავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და დირექტორთა კონკურსიც წარმატებით გაიარა. ამ დღიდან ცდილობს დაუშრეტელად ეძიოს სიახლეები და მრავალფეროვან ღონისძიებათა ნუსხა მართლაც გაგაოცებთ,

ბაგა-ბაღში 7 ჯგუფში 253 აღსაზრდელია. წარმატებით უძღვება საგანმანათლებლო პროცესს – ყოველდღიური აქ-



ტივობების დაგეგმვა, კოორდინაცია, მასალაზე ზრუნვა, შემაჯამებელი პროექტებისა და პრეზენტაციების მოწყობა, – საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **მარინე ოქროპირიძე.** მულტიდისციპლინარული გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც არიან – დი-



რექტორი, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი, ფსიქოლოგი **თამარ ნაზარაშვილი**, ლოგოპედი **ია ხელაძე**, სპეც. პედაგოგები – **ბარბარე ბაქრაძე** და **მარი შაორშაძე,** ბავშვთა სოციალიზაციასა და ინტეგრაციას ახდენენ და თითოეულ მათგანზე ინდივიდუალური განვითარების გეგმას აწარმოებენ. მშობლებთან ერთად არკვევენ რა სჭირდება ბავშვს, უზიარებენ რჩევადარიგებებს და ერთობლივად



ისახება გეგმები. ამჟამად ბაღში 7 განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვი ჰყავთ, რომლებიც ინკლუზიური განათლების ფარგლებში, ჩართულები არიან ჯგუფებში.

ბაღში ბავშვის ყოფნა ეფექტური უნდა იყოს მისი განვითარებისთვის. აღმზრდელები – **სოფიო მდივნიშვილი, ნანული ჯაფარიძე, დარინა დუმბაძე, ქეთევან ჩაკვეტაძე, მანანა კაჭარავა, ნანი მელიქიშვილი, ხათუნა ასპანიძე, თამარ ხუტიაშვილი, მაია პირტახია, მაკა ხაბელაშვილი, ტატიანა ლუარსაბოვი** – აქცენტს ბავშვთა განათლების, უნარ-ჩვევებისა და ქცევის ჩამოყალიბებაზე აკეთებენ.

განსაკუთრებით დასაფასებელია აღმზრდელის თანაშემწეების შრომა: **სოფიო სარალიძე, ქეთევან ჩაჩანიძე, თამარ მიკუტიშვილი, ნინო უსინაშვილი, ზანდა ფხალაძე, მარინა ხანთაძე, ქეთევან ტაბახმელაშვილი, ნათია ჟღენტი, პოლინე ჭელიძე, ბელა ბალავაძე, ეკატერინე გელაშვილი** — მთელი დღის მანძილზე ზრუნვასა და ალერსს არ აკლებენ პატარებს.

კომფორტული, თანამედროვე სასწავლო-აღმზრდელობითი კერის შექმნაში თავიანთი წვლილი შეაქვთ – დირექტორის მოადგილე **ზურაბ სვანიძეს**, საქმისმწარმოებელ **თამარ ნოზაძეს**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორ **ნანა ყურაშვილსა** და ბიბლიოთეკარ **ლია კალანდაძეს**.

სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილ სამზარეულოში უმაღლეს დონეზეა დაცული ჰიგიენა, სადაც **ნანა პავლიაშვილი** და **ნინო ყურაშვილი** ბავშვებისთვის ნაირნაირ გემრიელ კერძებს ამზადებენ, კონტროლს კი ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **ველიკო ზუმბულიძე** ახორციელებს. შენობის მოვლა-პატრონობასა და დაცულობაზე ტექნიკური პერსონალი ზრუნავს: **ლანა ქარჩავა, ნანა კოპაძე, თამარ კაკაურიძე, მზია სამადაშვილი, მარი გაგნიძე, სოფიო ჯაბაძე, ირაკლი ძაგნიძე, ტატიანა ძაგნიძე, გერონტი ჩაკვეტაძე, დარეჯან ზაროიანი, შალიკო ზაროიანი.** ეს ადამიანები აქტიურად არიან ჩართული ბაგა-ბაღის ცხოვრებაში. დაწკრიალებული ჯგუფები, დერეფნები, სველი წერტილები, დაცული და მოვლილი ეზო-გარემო სწორედ მათი დამსახურებაა.

სკოლამდელი აღზრდის ეს დაწესებულება აქტიურად არის ჩართული თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსა და მერიის მიერ ორგანიზებულ – დაუნის სინდრომის, აუტიზმის ცნობადობის ამაღლებისა და ბავშვთა დაცვის საერთაშორისო, ასევე დედაენის, 26 მაისისა და დედის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში, **„მხიარულ სტარტებში“**, შემეცნებით სემინარებსა და სახალისო ფლეშმობებში.

მეორე წელია ბაღში დამკვიდრდა ფრიად სახალისო **„ოჯახის დღე“**, მშობელთა უდიდესი ჩართულობითა და უამრავი კონკურსით, აქტივობით, ცეკვითა და სიმღერით. ყველამ კარგად იხალისა, როცა პატარები, საკუთარი ხელით, ფაფით გაუმასპინძლდნენ მამებს. 4-5 და 5-6 წლიანთა ჯგუფები ერთი კვირის მანძილზე მასპინძლობდნენ **„ზღაპრის კვირეულს“**, რომელიც იმპროვიზირებული თოჯინების თეატრითა და ზღაპრების წარმოდგენით დასრულდა. კიდევ ერთ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი და უკვე მე-10 წელია, სასწავლო წლის ბოლოს, ბაღში, მშობელთა მხიარული სტარტები ტარდება. ასევე, ყოველ წელს, გამოსაშვებ ღონისძიებაზე, პატარებისა და მათი მშობლებისათვის, ბაგა-ბაღის დირექცია და თანამშრომლები სიურპრიზს აწყობენ და ახალი საცეკვაო ნომრით გამოდიან. ჩატარებულ თემატურ ღონისძიებებსა და სხვა აქტივობებს, აღმზრდელებთან ერთად, მუსიკალურად აფორმებს მუსიკის პედაგოგი **ელისაბედ ხუროშვილი.**

განსაკუთრებულად დატვირთული იყო 1 ივნისი, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. 34-ე ბაგა-ბაღის აღსაზრდელებმა, მშობლებმა და თანამშრომლებმა სუხიშვილების მოყვარულებთან ერთად მუშტაიდის ბაღში ერთობლივი ფლეშმობი ჩაატარეს. ეს იყო საოცარი სანახაობა, ბავშვთა, მშობელთა და მასწავლებელთა ერთობა. შემდეგ მონაწილეობა მიიღეს ქალაქის მერიისა და ჩუღურეთის რაიონის გამგეობის მიერ



ორგანიზებულ ღონისძიებებში ვაკის პარკსა (5-6 წლიანთა ჯგუფი, ცეკვა **„ქალთა“**) და ახალ აღმაშენებელზე (3-4 წლიანთა ჯგუფი ცეკვა **„ნარნარი“**), **რისთვისაც ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ მადლობის სიგელით დააჯილდოვა.**

უკვე მეოთხე წელია აქტიურ,





დატვირთულ რეჟიმში მუშაობს საზაფხულო ბაღი, სადაც 5 ჯგუფი ყოველთვის შევსებულია. როგორც ქალბატონმა ლალიმ აგვიხსნა, საზაფხულო ბაღს სხვა სპეციფიკა აქვს, პროგრამები უკვე გავლილია და



უფრო პრიორიტეტული გართობაა – ღონისძიებები, მხიარული სტარტები, ოლიმპიადა, მოდის კვირეული, რომლებიც ასაკობრივ ჯგუფებზეა გათვლილი. კოლექტივის შემოქმედებითი ფანტაზიის წყალობით, თითოეული დღე ხალისიანი და მრავალფეროვანია, სხვადასხვა სახის მხიარულ დღეებს იგონებენ. მაგალითად, **„ბაფთის დღე“, „რეპის დღე“, პოდიუმი, სპორტული კვირეული** და სხვა.

ამ წლების მანძილზე ინფრასტრუქტურა ეტაპობრივად მოწესრიგდა – ცენტრალური გათბობა, სახურავი, კარ-ფანჯარა, გაკეთდა დამცავი ბადეები, სამზარეულო სტანდარტების შესაბამისად აღიჭურვა. ამ ეტაპზე მერიის პროგრამით, ეზოს მოწყობისა და გაუმჯობესების პროცესი მიმდინარეობს. უკვე არსებულ კაუჩუკის 2 მოედანს კიდევ დაემატება ბუნებრივი კოინდარი, სკამები, ახალი ატრაქციონები, იგეგმება ფასადის რეკონსტრუქციაც.

უშუალოდ განცდილი და შეგრძნებული სულ სხვაა და ყოველდღიურად დატვირთული ხალისიანი დღეები კი პატარებს წარმოსახვის უნარს უმდიდრებს, სწორად აზროვნებას უყალიბებს და ამიტომაც, ამ ბაგა-ბაღს ბევრი მადლიერი აღზრდილი ჰყავს.

**ნათია ნანეიშვილი**

## თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს განცხადება

**მოვუწოდებთ** ყველა მედიასაშუალებას და არასამთავრობო ორგანიზაციას, რომ ნებისმიერი ინფორმაცია, რაც ეხება ამ უაღრესად სენსიტიურ საკითხს, საბავშვო ბაღებს, აღსაზრდელების კვებას, გადაამოწმონ თბილისის მერიის ან საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან და არ შეიყვანონ საზოგადოება შეცდომაში.

გვსურს, გამოვეხმაუროთ ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერში გასულ რეპორტაჟს, რომელშიც საუბარი იყო საბავშვო ბაღებში შესული ხორცის არადამაკმაყოფილებელ ხარისხზე და პროდუქტის სტანდარტებთან შეუსაბამობაზე, რაც არის სიცრუე და კონკრეტული ინტერესების მქონე რამდენიმე პირის უსაფუძვლო ბრალდებებზე დამყარებული განცხადება.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ თბილისის 180 საჯარო ბაგა-ბაღში შესული თითოეული სახეობის პროდუქტი აკმაყოფილებს სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებს, გადის ყველა მაკონტროლებლის მიერ კანონით დადგენილ შემოწმებას, არის ლაბორატორიულად შემოწმებული, სერტიფიცირებული და შესაბამისად, სრულიად უსაფრთხო და ჯანმრთელი პროდუქტი.

ამასთან, საჯარო ბაღებში მუშაობს კვალიფიციური პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია კვების ბლოკის კონტროლზე და მათი მონიტორინგის გარეშე საბავშვო ბაღში არ ხვდება შეუსაბამო ხარისხის საკვები პროდუქტი.

საბავშვო ბაღებში პერმანენტულ მონიტორინგს ახორციელებს უშუალოდ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მონიტორინგის განყოფილება, რომლის მიერ გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში, მიიღება კანონით გათვალისწინებული ზომები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მომწოდებელი კომპანიისა თუ მისი კონტრაქტორების მიერ პროდუქტის წარმოება მუდმივად მოწმდება სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ, რაზეც საუბარი იყო ამავე რეპორტაჟში.

ასევე გვინდა ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ რეპორტაჟის ავტორს არ მიუმართავს თბილისის მერიისთვის ან თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსათვის აღნიშნულ საკითხის განმარტების მიზნით.

აშკარაა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების, „ანტიკორუფციული კავშირისა“ და „მონიტორინგის ცენტრის“ მიზანს წარმოადგენდა საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი აღსაზრდელების მშობლებში, პანიკის გამოწვევა.

მოვუწოდებთ ყველა მედიასაშუალებას და არასამთავრობო ორგანიზაციას, რომ ნებისმიერი ინფორმაცია, რაც ეხება ამ უაღრესად სენსიტიურ საკითხს, საბავშვო ბაღებს, აღსაზრდელების კვებას, გადაამოწმონ თბილისის მერიის ან საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან და არ შეიყვანონ საზოგადოება შეცდომაში.

აკადემიის სხდომა

# მწერალთა ეროვნული აკადემიის ახალი გეგმები



**ქართულმა** მწერლობამ სამწუხაროდ, თანდათან დათმო თავისი ისტორიული მისია, დაკარგა საზოგადოებრივი როლი და ვეღარ ასრულებს ერის სულიერი თუ ზნეობრივი წინამძღოლობის ფუნქციას. ლიტერატურული ცხოვრება სულაც არ შენელებულა, მაგრამ გაწყდა კავშირი მკითხველსა და მწერალს შორის... და ეს ყოველივე მაშინ, როდესაც გვყავს შესანიშნავი პოეტები და პროზაიკოსები, რომელთა დუმილიც კი, საოცრად ავსებს და აკეთილშობილებს ქართულ ყოფიერებას.... სხვა პრობლემაა ისიც, რომ სათანადოდ არ ფასდება მწერლის შრომაც, მათ არა აქვთ სოციალური მხარდაჭერა. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მწერალთა ეროვნული აკადემიის არსებობას, რომელიც დაარსების დღიდან ცდილობს მცირეოდენი, მორალური მხარდაჭერა გამოხატოს ნიჭიერი და შემოქმედი ადამიანების მიმართ.

5 ივნისს მწერალთა სახლში, მწერალთა ეროვნული აკადემიის დარბაზის სხდომა გაიმართა, რომელსაც დამფუძნებლები და წევრები ესწრებოდნენ. სხდომას უძღვებოდა აღმასრულებელი დირექტორი, პოეტი **ჯუბა ღებელი (ჯუმბერ გოგრიჭიანი),** ხოლო მდივანი გახლდათ აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, გაზეთ **„სახალხო განათლება+“** -ის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე **ზურაბ ქობალია.**

სხდომაზე პატივი მიაგეს პირველი პრეზიდენტის - ბატონი **თამაზ წივწივაძის**, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის - ბატონი **ალექსანდრე გაბელაიას,** აკადემიური საბჭოს წევრების, ბატონების - **გენო კალანდიასა** და **ავთანდილ ჩხაიძის** ხსოვნას.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა აკადემიის ვიცე - პრეზიდენტი **კობა არაბული,** რომელმაც ისაუბრა ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებზე.

დარბაზში იყო საქმიანი კამათი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მაგრამ საღმა აზრმა გაიმარჯვა, ჩამოყალიბდა ერთობლივი პოზიცია და დაისახა სამომავლო გეგმები. ითქვა, რომ ამ მღელვარე დღევანდელობის რკალში, აუცილებელია ხარისხიანი ნაწარმოებების პოპულარიზაცია, ასევე, მწერლების მხარდაჭერა, თანადგომა და რაც მთავარია, დაფინანსების წყაროს მოპოვება.

**კობა არაბული:** „არაფერია ყველაფერი, ყველაფერია-არაფერი...”- ასეა ესეც, ვნახოთ რა გამოგვივა, როგორ დაიცავენ მწერლები ერის საკრალურ სივრცეს, მის ისტორიულ ცნობიერებას მამულს, ენას, სარწმუნოებას, კულტურას...როგორ იმოქმედებენ სრულიად სხვა: ანომალიურ უცნობ დროში... მწერალმა წინასწარ უნდა დაინახოს ერის ბედისწერა და „იქადაგოს”, გააფრთხილოს , რაიმე შეცვალოს! ხევსური ქადაგი იტყოდა: “შეიძლება ბედისწერის შეცვლა, ან გადადება სხვაგან, სხვა დროისთვის, თუ მას წინასწარ დაინახავ და განგებას ჩანაფიქრს (განზრახვას) მიუხვდებიო”...”–ვნახოთ, რას დავინახავთ” და რა გამოვა?! გადადებს უფალი ჩვენ ბედისწერას?..

**ჯუბა ღებელი:** ათსაჯერ მითქვამს და ისევ ვიმეორებ... მწერალთა ეროვნული აკადემია არ შექმნილა მწერალთა კავშირის საპირისპირო ორგანიზაციად... პირიქით, აკადემია უნდა ყოფილიყო სწორედ მწერალთა კავშირის წევრ და არაწევრ პროფესიონალ მწერალთა გაერთიანება, რომლის პრეზიდიუმში მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაც მოიაზრებოდა. ის, რომ ჩვენს ისტორიულ მწერალთა კავშირში ყველაფერი რიგზე არაა, ეს მათ თავადაც კარგად იციან... არც ისაა დასამალი, რომ ახლადშექმნილ მწერალთა ეროვნულ აკადემიაშიც ვერ ავიცილეთ თავიდან რიგი უხერხულობანი... სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ მაშინ ჩვენ არა თუ ვერ შევრიგდით, არამედ მწვავე პოლემიკა გავმართეთ ორი სამწერლო გაზეთის გვერდებიდან, რასაც ახალგაზრდა თაობის ერთმანეთთან დაპირისპირებაც კი მოჰყვა. ასე აღარ უნდა მოხდეს. ჩვენ მწერლები ვართ, არაფერი გასაყოფი არ გვაქვს, მაგრამ გვაქვს საერთო მიზანი, რომელსაც ქვეყნის, ერის გადარჩენა, მწერლობისთვის ისტორიული მისიის დაბრუნება ჰქვია.

სხდომის წევრებმა განაახლეს აკადემიური საბჭოს შემადგენლობა და განიხილეს სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. სხდომაზე ერთობლივი გადაწყვეტილებით, მწერალთა ეროვნული აკადემიის დარბაზის პრეზიდენტად აირჩიეს **კობა არაბული.** ასევე, გადაწყდა ჟურნალის გამოშვების საკითხიც, სადაც მკითხველი იხილავს ლიტერატურულ სიახლეებს, რეცენზიებსა და კრიტიკულ შეფასებებს.

მზია გოგოძე

კერძო სკოლის სიკეთე

# სწორი არჩევანია „ცოდნა – ნათელა მურადაშვილი“





**სწავლა-აღზრდა** ყოველდღიური შემოქმედებითი, მიზანმიმართული პროცესია, რომლის სწორად წარმართვა არც თუ ისე იოლი საქმეა. მოწესრიგებული ფიზიკური გარემო და მუშაობის შინაარსობრივი მხარის მაღალი დონე განსაზღვრავს სკოლა-ლიცეუმის **„ცოდნა – ნათელა მურადაშვილი“** მოთხოვნადობას, რაც კოლექტივის დაუღალავი შრომის შედეგად ჩამოყალიბდა.

კერძო სკოლის შექმნა **ნათელა მურადაშვილმა** 1995 წელს, 115-ე საჯარო სკოლაში გადაწყვიტა, სადაც 20 წლის მანძილზე დირექტორი იყო. იგი პროფესიით ფილოლოგია. მე-3 წელია სკოლა ცოტნე დადიანის ქუჩაზე, ახალ შენობაშია. სკოლაში სასწავლო პროცესი უახლესი მეთოდებითა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მიმდინარეობს. საგნობრივი მრავალფეროვნება, უცხოური ენების სწავლება, მცირეკონტინგენტიანი კლასები და მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კოლექტივი წარმატების შესაძლებლობებს ზრდის.

მე-5 წელია სკოლას დირექტორი **ლია კბილაშვილი** ხელმძღვანელობს. რომელიც წლების მანძილზე სხვადასხვა საჯარო სკოლაში მუშაობდა, იყო დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, 170-ე საჯარო სკოლის დირექტორი. ქალბატონ ნათელასთან მეგობრული დამოკიდებულება ჯერ კიდევ 115-ე საჯარო სკოლაში მუშაობისას ჩამოყალიბდა. სასწავლო პროცესის სწორად და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად წარმართვაში დიდი წვლილი შეაქვს დირექტორის მოადგილე **მაია ხარძიანს**. თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტია ბუღალტერი **მარინე**



**არაბული.**

სკოლაში წარმატებით ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, სადაც მუშავდება გეგმა, ღონისძიებების ნუსხა, პრიორიტეტული მიმართულებები, ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები, ხდება გამოცდილების გაზიარება. პროგრამით გათვალისწინებული საგნების გარდა სკოლაში ისწავლება – ჭადრაკი, ქართული ხალხური ცეკვები და სიმღერები, ფუნქციონირებს სააბიტურიენტო მოსამზადებელი ჯგუფები. მოსწავლეზე ორიენტირებული ინდივიდუალური მეთოდით სწავლებისათვის, მრავალფეროვანი სასწავლო პროგრამების სრულყოფა-განახლებისა თუ კონფერენციებსა და ოლიმპიადებში წარმატებისათვის უდიდესი პასუხისმგებლობით უდგებიან თავიანთ საქმეს პროფესიონალი პედაგოგები, ქართული ენა-ლიტერატურისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე: **იზა კოპალიანი** (კათედრის ხელმძღვანელი), **ლიანა კბილაშვილი** (ქართული ენა), **ნათელა ტაბატაძე** (ქართული ენა), **ავთანდილ უჯმაჯურიძე** (ისტორია), **ინგა ჭოველიძე** (ისტორია), **სოფიკო ვეკუა** (ბიოლოგია); ზუსტი მეცნიერებების: **მაია აბდუშელიშვილი** (ხელმძღვანელი), **თამთა ჩიტუნაშვილი** (მათემატიკა), **თამარ დოღნაძე** (ქიმია); უცხო ენათა: **ნატა ბენაშვილი** (ხელმძღვანელი), **მარიამ ზედგინიძე** (ინგლისური ენა), **სვეტლანა კუკავა** (რუსული ენა), **მერი ხოხობაშვილი** (გერმანული ენა); დაწყებითი კლასების: **ლალი მჭედლიძე** (ხელმძღვანელი), **თეა არახამია, თინათინ ბლიაძე, ქეთევან თუმანიშვილი, შორენა ნაცვლიშვილი; დალი აბრამიშვილი** (ჭადრაკი), **ირმა მაისურაძე** (მუსიკა), **სოფიო მაჭავარიანი** (სპორტი), **თამაზ შენგელია** (საგზაო ნიშნები), **ლალი წითლანაძე** (ხელოვნება), **ნინო ჭანტურია** (ფსიქოლოგი).

მოსწავლეები მუდმივად მონაწილეობენ სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებში, ოლიმპიადებში, ხელოვნებისა და ფოლკლორის ფესტივალებში, სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში, ხორციელდება შიდა სასკოლო პროექტები: მე-7-9 კლასებში ჩატარდა ინტეგრირებული გაკვეთილი თემაზე **„თბილისი ჩემი ქალაქია“** (პედაგოგები – **იზა კოპალიანი** და **ინგა ჭოველიძე**); მე-4 კლასში კი იგივე თემაზე ინგლისურ ენაზე წარმოადგინეს პრეზენტაციები; დედამიწის დღეს მიეძღვნა კონფერენცია გეოგრაფიაში თემაზე **„კონფლიქტები და ტერორიზმი“;** სასიამოვნო შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ მოსწავლეები პლანეტარიუმიდან, სადაც დაათვალიერეს კოსმოსის იმიტირებული ოთახი, მზის სისტემის პლანეტების განლაგება, მოძრაობა და ა. შ. დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა აღნიშნეს დაუნის სინდრომის შესახებ ცნობიერების ამაღლების მსოფლიო დღე და დაამზადეს კედლის გაზეთი – **„მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს“;** აქტიურად მონაწილეობენ საქველმოქმედო ღონისძიებებში; პატივი მიაგეს 9 აპრილს დაღუპულთა სულებს.

პედაგოგები და მოსწავლეები ერთობლივად ახორციელებენ კარგად ორგანიზებულ სასწავლო თუ კლასგარეშე ღონისძიებებს, მხიარულ სტარტებს, თეატრალურ კომპოზიციებს – მეოთხე კლასელებმა დადგეს სპექტაკლი **„ვერის უბნის მელოდიები“** და მაყურებელთა მქუხარე აპლოდისმენტებიც დაიმსახურეს;

აქ საკუთარი პასუხისმგებლობა ყველას კარგად აქვს გათვითცნობიერებული და თქვენი შვილის მომავალი ამ კოლექტივს სწორედ იმიტომ უნდა ანდოთ, რომ სკოლა-ლიცეუმი ორიენტირებულია სასწავლო პროცესის ხარისხსა და პედაგოგების პროფესიონალიზმზე, თანამედროვე პრინციპებსა და მოდელებზე, მოსწავლეთათვის სწორი მომავალი არჩევანის შესაბამისი წინაპირობის შექმნაზე და მათ ღირსეულ მოქალაქებად ჩამოყალიბებაზე. ვუსურვოთ გამარჯვება!



მარიამ ღონღაძე

1 ივნისი – ბავშვთა დაცვის დღე

# დარიგება ცეროდენებს ანდაზების ხმაზე



## ლეილა ვადაჭკორია

**მშობელს,** უფროსს, ბრძენს რომელი ბავშვიც არ დაუჯერებს, ბევრს დაკარგავს. აი, ერთი ანდაზა: „დედის წინ მორბენალ კვიცს მგელი შეჭამსო“. ხალხური ანდაზებით გამაგრებული დიდაქტიკური ლექსები უძღვნა პატარებს ცნობილმა საბავშვო პოეტმა **ლეილა ვადაჭკორიამ**. ცეროდენებო (მოზრდილებსაც არ აწყენდათ), თუ გულდასმით მოუსმენთ ლეილა დეიდას, ზეპირად ისწავლით ამ სტრიქონებს, ძალიან ბევრს მოიგებთ.

### გამეორება ცოდნის დედაა

**„გამეორება** ცოდნის დედაა“
სულ მეუბნება დედა,
ყური რომ არ დავუგდე,
რამის თქმას ველარ ვბედავ.

ბევრი რამ დამავიწყდება,
თავიდან უნდა ვისწავლო.
ძალიან გავბეჯითდები,
დედიკომ რომ არ იჯავროს.

ისე რა მიამიტია
ჩემი პატარა დაიკო:
ცოდნასაც დედა თუ ჰყავდა
არ ვიცოდიო, ძამიკო.

### ეპატიება

**ჩემს** ნიკუშას ჯერ არ ესმის
მეგობრობის ფასი,
იმას ამბობს, რაც მოუვა
კოკროჭინა თავში.

რადგან იგი პატარაა,
მხოლოდ ერთი წლისა,
ვაპატიოთ თუ ვერ არჩევს
თავისას და სხვისას.

### ჩვენ ცელქები

**უსაშველო** ცელქები ხართ,
გვეუბნება ყველა,
ცოტა უნდა დადინჯდეთო,
ნაბიჯ-ნაბიჯ ნელა.

ამას გულით გეუბნებათ
უფროსი და თეო,
სანამ რამეს გადაწყვეტდე
უნდა დაფიქრდეო.

ბაბუს ნათქვამი ანდაზა
გულში ძლიერ ჩამწვდა,
„ასჯერ უნდა გაზომო და
ერთხელ უნდა გაჭრა.“

### მეგობრები

**რა** ლამაზი თოჯინაა,
ხომ მათხოვებ, ლილე?
რა თქმა უნდა, ამ კითხვითა,
მართლა, გამაკვირვე.

ჩვენ ხომ მეგობრები ვართ და
სულ ვთამაშობთ ერთად,
განა, შენი სათამაშო,
ცოტა არის ჩემთან?

ერთმანეთის კარგად ესმით
ლილესა და კესოს,
მათზე ითქმის: „ფერი ფერსა
და მადლი კი – ღმერთსო“.

### ტყუილი მოკლეფეხება

**თაკო,** ისევ იტყუები,
ახლა უკვე – მესამედ,
ჯერ ეს ერთი, ასე ჩქარა,
აბა, როგორ შეჭამე?

შენ გეგონა, ვერ გხედავდნენ,
რომ იყავი მარტოკა,
ლუკამ ნახა, შენი თეფში
ცუგამ როგორ ალოკა.

აწი აღარ მოიტყუო,
დაგარიგა მედიკომ,
„ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“,
ხომ გასწავლა დედიკომ.

### ლიზიკო

**რატომ** გეწყინა ლიზიკო,
რომ გასწავლიდა მიშიკო,
„მოყვარეს პირში უძრახე“,
ხომ გაგიგია ბიძიკო?

რჩევას თუ გულით მივიღებთ,
ცალ ყურით თუ არ გავუშვებთ,
ერთხელ დაშვებულ შეცდომას
მეორედ აღარ დაუშვებთ.

მშვიდად აუხსნა ლიზიკოს
ანდაზა ძია მიშიკომ,
ვინაც პირველად წარმოთქვა,
ნეტავ, ის ბრძენი ვინ იყო?

### მართა ბებია ბრძენია

**„კედლებსაც** ყურები აქვსო“,
მართა ბებომ თქვა გუშინ,
ნეტავი, რა იგულისხმა,
როს ჩამჩურჩულა ყურში?

გოგო, კედელი ეს არის,
ფანჯრები არის თვალები,
ხან გარეთ გავიხედავთ და
ხან შიგნით დავიმალებით.

ყურები რომ ვერ ვიპოვეთ,
რაღა ვქნათ, ძმაო ლუკა?
– მართა ბებოს მოვეფეროთ,
დავეკითხოთ უნდა.

მოწინავე გამოცდილება

# ბავშვთა ჰიგიენის დაცვის მნიშვნელობა სკოლებში



**ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენა** მედიცინის მეცნიერების პროფილაქტიკური დარგია. ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენა მეცნიერებაა მოზარდი თაობის ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცების შესახებ. იგი შეისწავლის: **გარემოს სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედებას ბავშვისა და მოზარდის ორგანიზმზე.** ამრიგად, ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენის ამოცანაა ისეთი ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია ჯანმრთელი, ფიზიკურად ძლიერი და სულიერად მტკიცე მოზარდი თაობის აღზრდისათვის.

ბავშვისა და მოზარდის ორგანიზმზე გავლენას ახდენს, არა მარტო ბუნებრივი გარემო პირობები, არამედ ის პირობებიც, რომელშიც უხდება ბავშვს ცხოვრება, ურთიერთობა, აღზრდა და სწავლა. ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენა შეისწავლის მოზარდი თაობის ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს განვითარების მთელი დროის განმავლობაში, დაბადებიდან დაწყებული **ორგანიზმის ზრდისა და ფორმირების დამთავრებამდე.**

სკოლის დაწესებულებებში აღზრდის პერიოდში ხდება ბავშვის სწრაფი ზრდა-განვითარება, მკვეთრად იცვლება მისი ფიზიოლოგიური თავისებურებანი და მოთხოვნები. ამიტომ სკოლაში აღზრდა აგებულია ბავშვის ზრდის თავისებურებებისა და განვითარების კანონზომიერების შესწავლის საფუძველზე. ამ თავისებურებებთან არის დაკავშირებული სკოლაში აღზრდის პედაგოგიური და ჰიგიენური პრინციპები.

ბავშვების ყოველგვარი საქმიანობა ნაკლებად დამქანცველია, თუ იგი მიმდინარეობს ოპტიმალური ჰაეროვან-სითბური გარემოს პირობებში. ამიტომ სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების ოთახების ჰაერის თვისებები უნდა შეესაბამებოდეს ჰიგიენურ მოთხოვნებს. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ჰაერის მდგომარეობა სასწავლო ოთახებში, ჰაერის მომატებული ტემპერატურა და ტენიანობა, ბაქტერიული დაბინძურება, ორგანული ნივთიერებების მატებული შემცველობა, იონური შედგენილობის გაუარესება ხელს უწყობს ბავშვის თვითშეგრძნების გაუარესებას, დაქანცვის მომატებას, შრომისუუნარობას, უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვის ზოგად განვითარებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

https://tsmu.edu/old/index.php?option=com_content&view=article&id=559&Itemid=89

სასწავლო დღის განმავლობაში ჰაერში მატულობს ბაქტერიების რაოდენობა. ეს **ბაქტერიები კი ხვდება ბავშვის სასუნთქ გზებში,** რაც იწვევს სასუნთქი გზების დაავადებებს, ამიტომ მოსწავლეთათვის სუფთა და ჯანსაღი გარემოს შექმნა მნიშვნელოვანი მოვალეობაა. კლასის დამრიგებლები მუდმივად ჰიგიენური ნორმების დასაცავად სისტემატურად უნდა აფრთხილებდნენ მოსწავლეებს **პირადი ჰიგიენის მკაცრად დაცვის მნიშვნელობის** შესახებ. ასევე უნდა შექმნან სანიტარული ჯგუფები, მოახდინონ მოსწავლეების ინფორმირება, რომ კვებისას არ ისარგებლონ ერთი ჭურჭლით, საპირფარეშოში შესვლისას დაიცვან ჰიგიენური წესები – **ხელები საპნით დაიბანონ!** ვირუსის შემთხვევაში გამოიყენონ პირბადე, რათა დაიცვან თანაკლასელები მსგავსი დაავადებებისაგან. სისტემატიურად გამოიყენონ ანტისეპტიკური სითხეები.

დამრიგებლებმა დაწყებით კლასებში უნდა განამტკიცონ ჰიგიენური ცოდნა და ჩვევები. მასწავლებლები მოსწავლეებთან უნდა ატარებდნენ სპეციალურ მეცადინეობას ჯანმრთელობის დაცვის აუცილებლობაზე, ინფექციური დაავადებების გავრცელების გზებსა და საშუალებებზე, ქუჩაში სიარულის წესებსა და მათი დაცვის აუცილებლობაზე. ჰიგიენური აღზრდა მიმართული უნდა იყოს აგრეთვე თამბაქოს წევის, ნარკოტიკული საშუალებების, ალკოჰოლური სასმელების გამოყენების წინააღმდეგ. პროპაგანდას უნდა უწევდეს ჯანმრთელ ყოფაცხოვრებას ბიჭებისა და გოგონების სწორად აღზრდაში.

https://www.ncdc.ge/Handlers/GetFile.ashx?ID=9081fc31-4790-4894-8181-3ace9a81d566

სკოლის დაწყებით კლასებში უნდა ირჩევდნენ სანიტარულ ჯგუფებს, რომლის მოვალეობაც იქნება სისტემატიური თვალყურის დევნება მოსწავლეების პირადი ჰიგიენის წესების დაცვაზე, საკლასო ოთახების სისუფთავეზე, მათ რეგულარულ განიავებაზე.

**„სკოლამ უნდა ჩაუნერგოს მოსწავლეებს შრომის სიყვარული, უნარი პატიებისა და სხვისი სიხარულით გახარებისა, სიმართლის დაცვისა და მეგობრის ერთგულებისა, დაჩაგრულის თანადგომისა და საერთოდ, სიკეთის ქმნისა. ამის განხორციელების შემთხვევაში შეგვეძლება ვთქვათ, რომ მოზარდებს მივეცით საშუალება ჯანსაღ თაობად აღზრდისა; შევთავაზოთ სიკეთე და სიცოცხლე, დანარჩენი კი მათ გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული“ – ილია II.**

Hhttp://qartuliazri.reportiori.ge/inside.php?menuid=164&id=33009

თუ ჩვენ ყოველდღიურად დავიცავთ ზემოთ ჩამოთვლილ ჰიგიენურ ნორმებს, ასევე გავითვალისწინებთ ილია მეორის სიტყვებს, მოვახდენთ ინფორმირებას სასკოლო ჯგუფებში ჰიგიენური ნორმების გამო განვითარებული **მწვავე და ქრონიკული დაავადებების რისკის გაზრდის** შესახებ, ასევე ვიმუშავებთ მშობლებთან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მომავალში ჯანსაღ თაობას მივიღებთ.

შორენა ბეროშვილი,
თბილისის 83-ე საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელი.

მონატრება

# გუდაუთელებო, ერთად ყოფნა არასოდეს მოგვშლოდეს!



**მონატრება** სხვადასხვა სახეობისაა, მაგრამ ძირითადად ერთმანეთთან მიმართებითია. ზოგი მონატრება ახლოსაა მომავალთან, ზოგიც შორს, ზოგი ტკბილია, ზოგიც სევდიანი რაც ქმნის სივრცეში მონატრებათა ურთიერთმიმართების წესრიგს. მაგრამ, თუ მონატრებას გადავაადგილებთ გონებიდან გულში და გავტყორცნით წარმოდგენით სივრცეში, მაშინ ჩნდება დრო და მონატრება სივრცისგან განუყოფელი ხდება. ამდენად წარმოიქმნება ლოგიკური კითხვა: იარსებებდა დრო, რომ არ არსებობდეს მონატრება?

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ დრო არ არსებობს და ის შემოღებულია ადამიანის მიერ პროცესების აღნუსხვის მიზნით. მე, როგორც მეცნიერი არ შემიძლია არ დავეთანხმო ამ დებულებას, მაგრამ როგორც პოეზიის მოტრფიალეს, მჯერა დროის არსებობის და მისი განმსაზღვრელის — მონატრების; სწორედ ამ განმსაზღვრელმა გამაბედინა დამეწერა ლექსი იმ პატარა ქალაქზე, სადაც დავიბადე და რომელიც ახლა ოკუპირებულია რუსებისა და სომხების მიერ.

ჩემი ლექსი ეძღვნება ყველა იმ გუდაუთელს, რომელიც უმგვანო პოლიტიკოსების გამო და მსოფლიოში ყველაზე უაზრო ომის შედეგად გამოდევნილი არიან თავიანთ მშობლიურ მიწიდან და მძივებივით მიმოიფანტნენ ისევ თავიანთი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში; მჯერა, დადგება დრო და ეს მძივები ისევ აიკრიფება იმ გაწყვეტილ ძაფზე, რომელსაც სიყვარული ჰქვია.

### გუდაუთა

(ვუძღვნი ყველა გუდაუთელს)

**მომენატრა** გუდაუთა ჩემი,
ზღვის ტალღებში მოციმციმე სხივი,
მეგობრების მომღიმარე სახე
და
ბულვარში მოსეირნე წყვილი.

მომენატრა გუდაუთა ჩემი,
თოლიების მოფარფატე ფრთები,
აქოჩრილი ზღვის ტალღების ჩქაფი
და
პალმების მოალერსე ჩრდილი.

მომენატრა გუდაუთა ჩემი,
მაგნოლიას მათრობელა სუნი,
გაცდენილი გაკვეთილის გემო,
მასწავლებლის საყვედური ჩუმი.

მომენატრა გუდაუთა ჩემი,
დედასავით ერთგული და თბილი,
მომენატრა!
მომენატრა!
ჩემი!
დამელოდე დავბრუნდები,
დავბრუნდები! ვიცი!

ვაჟა კაკაბაძე

ფილოლოგიური ფიქრები

# ათონი და ივირონი —აკაკი წერეთლის პოემა „თორნიკე ერისთავი“



**პოემა „თორნიკე ერისთავის“** სიღრმისეულად გასააზრებლად აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ ათონის მთის სამონასტრო კომპლექსზე და იქ არსებულ ბერმონაზვნურ ცხოვრებაზე. **ათონის მთა** ქალკედონის ნახევარკუნძულზე მდებარეობს. პირველი ქრისტიანი მოწესენი ათონზე VIII -IX საუკუნეებიდან ჩანან. 870 წელს **იოანე კოლოვუმ** დააარსა პირველი სავანე, ხოლო მომდევნო ხანაში სამონასტრო მშენებლობა ისე შესამჩნევლად გაიშალა, ერთიმეორის მიყოლებით იმდენი მნიშვნელოვანი სავანე აღმოცენდა, რომ მალე ათონის მთას **მთაწმინდა** ეწოდა. 965 წელს ათონის მთას ეწვია გამოჩენილი ქართველი მოღვაწე იოანე, რომელსაც ახლდნენ ვაჟიშვილი ექვთიმე და მოწაფენი. ათონის ივერთა მონასტერს თავდაპირველად იოანე ხელმძღვენელობდა. მან ენერგიულად იწყო ზრუნვა ქართული სავანის განმტკიცება-გაძლიერებაზე. შეიძინა მამულები, უზრუნველყო მონასტერი შემოსავლით. იოანეს გარდაცვალების შემდეგ, 14 წლის განმავლობაში ქართველთა მონასტერს **ექვთიმე ათონელი** ხელმძღვანელობდა. იგი ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში იოანეს ავადმყოფობის გამო უძღვებოდა ქართული სავანის მთელ საქმიანობას. მისი წყალობით იქცა ათონის სავანე არა მხოლოდ დასავლეთში მყოფ ქართველთა ძირითად საეკლესიო-სამონასტრო ცენტრად, არამედ ქართული კულტურის მძლავრ კერად. ექვთიმე ათონელის საქმიანობამ საყოველთაო აღიარება ჰპოვა. მადლიერი თანამემამულენი კმაყოფილებით აღნიშნავდნენ **„განანათლა და შეამკო ნათესავი და ენაი ჩვენი“ – გიორგი ათონელი. „განავრცელა და განანათლა ქართველთა ენაი“ (სვიმონ დვალი. ათონის ივერთა მონასტერი).**

არსებობს მრავალ ენაზე დაწერილი სხვადასხვა სახის ლიტერატურა ათონის მთის შესახებ. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ათონზე მოგზაურთა აღწერილობები, რომელთაგან ყველაზე ადრეული რუსი წარმომავლობის **ნოვგოროდელ იეროდიაკონს, ზოსიმეს** ეკუთვნის; მან ათონის მთაზე იმოგზაურა და ამ მოგზაურობის ჩანაწერები დაგვიტოვა. მომდევნო ხელნაწერი დაწერილია იტალიელი ბუონდელმონტის მიერ, რომელმაც ათონი მეთხუთმეტე საუკუნის შუა წლებში მოინახულა. მას შემდეგ უამრავი ხელნაწერი იწერება უწყვეტად, რომლებშიც გადმოცემულია ათონის ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნების ნიმუშები, იურიდიული წყობისა და სამონასტრო ცხოვრების ამბები. ათონის მთის სავანე საუკუნეების განმავლობაში იყო საეკლესიო მწიგნობრობის კერა და წარმოადგენდა ქართველთათვის ბიზანტიასა და ახლო აღმოსავლეთთან კულტურული ურთიერთობის მძლავრ კერას **(ილია II „ივერიის მონასტერი“).**

როგორც ვიცით თორნიკე ერისთავი - ტაოელი დიდებულის, ჩორდვანელის ძე, ბერად აღკვეცის შემდეგ **იოანე-თორნიკედ წოდებული**, X საუკუნის II ნახევარში ცნობილი ქართველი სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწე იყო. ერთხანს იოანე-თორნიკე ათონის მთაზე, განთქმულ ათანასე დიდის ლავრაში, იყო ბერად შემდგარი. X საუკუნის 60-იან წლებში ათანასეს ლავრაში მოვიდნენ ქართველები **– იოანე (იოანე ათონელი) ბერი, მისი ძე ეფთვიმე (ეფთვიმე ათონელი) და თორნიკე ერისთავი,** რომლებიც ერთ წელიწადზე მეტ ხანს დარჩნენ ლავრაში, შემდეგ კი მათ სხვა ქართველებთან ერთად ათონის ივერთა მონასტერი ააშენეს. **(ი. ბაქრაძე, ივირონი 1980წ. გვ.135).** ამას კი წინ ის ისტორიული ამბავი უძღვის, რომლის შესახებაც საუბარია პოემაში. იოანე-თორნიკე საქართველოს ისტორიაში ცნობილია, აგრეთვე, როგორც დავით კურაპალატის სახელგანთქმული სარდალი, რომლის დახმარებითაც **X საუკუნის 70-იან წლებში ქართველების 12-ათასიანი ლაშქრით ჩაახშეს საიმპერატორო ტახტის წინააღმდეგ ამბოხებული ძლევამოსილი ბიზანტიელი სარდლის, ბარდა სკლიაროსის აჯანყება, რის შედეგადაც ქართველებს უფლება მიეცათ ათონის მთაზე ივერთა მონასტერი, ანუ ივირონი აეშენებინათ**, კერძოდ, სამხედრო ნადავლიდან მიღებული წილი იოანე-თორნიკემ ათანასეს ლავრასა და ბერძენთა სხვა მონასტრებს შესწირა, დიდი ნაწილი კი ათონის ივერთა მონასტრის აგებას მოახმარა; მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 980 წელს ბიზანტიის კეისარმა იოანე-თორნიკეს სვინგელოზის **(პატრიარქის თანაშემწე ბერი)** წოდება უბოძა.

პოემა **„თორნიკე ერისთავში“** აკაკი წერეთელი ყურადღებას ამახვილებს კარის ღვთისმშობლის ხატის თავგადასავალზე და ხაზგასმით ამბობს, რომ ქართველ ბერს, გაბრიელს, ხვდა წილად მისი წყლიდან გამობრძანება. წყალში კი ღვთისმშობლის ხატი ქალაქ ნიკეაში მცხოვრებმა ქვრივმა ჩაუშვა გადარჩენის მიზნით, რადგან ბიზანტიის იმპერატორ თეოფილეს ბრძანებით ქვეყანაში ყველა სიწმინდეს ანადგურებდნენ, ხატთა თაყვანისმცემლებს კი აწამებდნენ. ამ ღვთისმშობლის ხატის განადგურებაც სცადეს, მანამდე კი ერთმა ხატმებრძოლმა მახვილი ჩასცა და ღვთისმშობლის სახიდან სისხლი გადმოედინა. საბოლოო განადგურებისგან იხსნა ხატი ქვრივმა და გულმხურვალედ მლოცველმა ის ზღვას გაატანა; ერთადერთ შვილს კი ურჩია, რომ ხატმებრძოლებს გარიდებოდა, რომელმაც დაუჯერა და თესალონიკის გავლით ათონის მთაზე დასახლდა, სადაც ბერად აღიკვეცა. სწორედ მისგან შეიტყვეს ათონელმა მეუდაბნოეებმა ღვთისმშობლის ამ ხატის ისტორია.

ათონის მთაზე **999 წლის** ერთ საღამოს (ამ დროისათვის ნიკეელი ბერი უკვე გარდაცვლილი იყო) ბერებმა ზღვაში **ცეცხლის სვეტი** შენიშნეს, რომელიც დღედაღამ ბრწყინავდა, ამ დროს აღდგომის მარხვის დღეები იდგა. **ამ ბრწყინვალებას სწორედ ღვთისმშობლის ხატი გამოსცემდა.** ბევრჯერ სცადეს ბერებმა სიწმინდის გამობრძანება, მაგრამ ხატი არავის იკარებდა, შეწუხებულმა ბერებმა ლოცვა-მარხვა გააათმაგეს, მაგრამ ამაოდ. ერთ-ერთ ბერს ჰქონდა ხილვა, რომ ხატი მიიკარებდა ქართველ ბერ გაბრიელს **(მნიშვნელოვანია, რომ ეს ხილვა ბერძენ ბერს ჰქონდა და საეჭვოც არაფერი იყო).** გაბრიელმა წყალზე ისე სასწაულებრივად გაიარა, როგორც მიწაზე. ეს ამბავი მოხდა ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს. მონასტრის მთავარი ტაძრის საკურთხეველში დაბრძანებული ხატი მეორე დილით შესულმა ერთ-ერთმა ბერმა მონასტრის კარიბჭის კედელზე აღმოაჩინა. სასწაული რამდენჯერმე განმეორდა. ღვთისმშობლის ხატი თავისსავე არჩეულ ადგილზე დატოვეს მას შემდეგ, რაც გაბრიელ ბერს ძილში გამოეცხადა ღვთისმშობელი და აუწყა: **„გამოუცხადე ძმებს, რომ მეტად აღარ გამომცადონ, რადგან არ მნებავს თქვენი მფარველობა, არამედ თვითონ მსურს ვიყო თქვენი მფარველიც და მცველიც, არა მარტო ამ ცხოვრებაში, არამედ მომავალშიც. დაე ყველა ბერი, ვინც ამ მთაზე კეთილად და ღვთის შიშით იღვაწებს, სასოებდეს ჩემი ძისა და მეუფის მოწყალებას, რამეთუ მე გამოვითხოვე მისგან ეს ნიჭი და აჰა, იყოს თქვენდა სასწაულად: ვიდრე ამ სავანეში იხილვება ჩემი ხატი, არ მოგაკლდებათ თქვენ ჩემი ძის მადლი და წყალობა“.** ღმრთისმშობელმა ივერთა სავანე აირჩია თავის სამყოფელად და ამიტომ ხატს ასევე ეწოდება **„ივერიის ღმრთისმშობელი“ („კარის მცველი“, „კარიბჭის ღვთისმშობლის ხატი“, „პორტაიტისა“).** ხატის წინ ჰკიდია დიდი, ვერცხლის ან მოოქროვილი ვერცხლის 12 უქრობი კანდელი. ტაძრის მოვლა-პატრონობა და ხატის მსახურება ევალება მღვდელ-მონაზონს, რომელსაც ირჩევს მთელი საძმო. ივერიის ღმრთისმშობლის ხატი ქაიხოსრო ჯაყელის საფასითა და სამცხის ეპისკოპოსის ამბროსის ღვაწლით ქართველ ოსტატს მოუჭედავს. ხატის პერანგის ქვედა ნაწილზე წარწერაა ქართულ ენაზე. ათონის მთა, იგივე მთაწმინდა განწმენდილია ღვთისმშობლის ლოცვა-კურთხევით.

ლიანა ჯანგულაშვილი-გელაშვილი,
თბილისის 83-ე საჯარო სკოლის წამყვანი პედაგოგი.

## არდადეგებს გილოცავთ, 119-ე ბაგა-ბაღელებო!

# სიახლეებს მიაგნეს და ახორციელებენ



**აღსაზრდელებისთვის** შესაფერისი სივრცე-გარემოს შექმნაზე წლებია ზრუნავს 119-ე ბაგა-ბაღის დირექტორი **მაია ჭოხონელიძე** – ერუდირებული, კომუნიკაბელური პიროვნება, გულისხმიერი, ობიექტური და თავდაუზოგავი ხელმძღვანელი, რომელიც სამაგალითო რეპუტაციით სარგებლობს კოლექტივში და აღსაზრდელთა მშობლებში. ქალბატონი მაია ბაგა-ბაღის დირექტორად შესარჩევი კონკურსის შედეგად დაინიშნა და 2007 წლიდან ერთგულად ემსახურება თავის საქმეს. წლების განმავლობაში, კოლოსალური შრომის შედეგად, მოწესრიგდა ბაღის როგორც ვიზუალური მხარე, ისე სამუშაო პროცესი, დაისახა ახალი გეგმები, ასპარეზი მიეცა ყველა ტენდენციას, რომელიც ბაგა-ბაღის თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოებას განაპირობებს. ყოველმხრივ



მოწესრიგებულია როგორც სააღმზრდელო, ისე ტექნიკური და ჰიგიენური მხარე. ამას მოწმობს კომისიათა მიერ დღემდე დადებული ყოველი დასკვნა და შეფასება. ბაგა-ბაღების სააგენტოსთან უწყვეტი და აქტიური თანამშრომლობის შედეგია ერთობლივი საზრუნავის რეზულტატთა ეფექტიანობა. აღსანიშნავია, რომ სწორედ აღნიშნული უნარებისა და სანდოობის საფუძველზე ქალბატონი **მაია ჭოხონელიძე** არჩეულია ბაგა-ბაღების სააგენტოს დირექტორთა საბჭოს საკოორდინაციო ჯგუფის წევრად. დირექტორი განსაკუთრებული მადლიერებით მოიხსენიებს თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელს, ბატონ **კახაბერ გვანცელაძეს**, რომლის თანადგომითაც ხდება პატარებისთვის უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემოს შექმნა და მუშაობის შინაარსობრივი მხარის ამაღლება.

ბაღში ხელმძღვანელობენ ბაგა-ბაღებისთვის განკუთვნილი სასწავლო-სააღმზრდელო ადრეული და სკოლამდელი აღზრდის განათლების ახალი სტანდარტებით. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გაწერილია პროგრამა, რომელიც დაყოფილია თემებად, ქვეთემებად და მათში სხვადასხვა აქტივობა შედის. ჯგუფებში: **„ბელურები“ – მაია ტარულიშვილი** და **თამუნა ქორაია**; **„ვარსკვლავები“ – მარი რობაქიძე** და **ელისო ბუაძე**; **„მტრედები“ – მაია დგებუაძე** და **მარინე ბაშელეიშვილი**; **„ჭიამაიები“ – ლალი გიორგაძე, ინგა ელიზბარაშვილი** და **თამუნა ბოსტოლანაშვილი** – დილის წრეზე ბავშვებს აცნობენ თემებს, ცენტრებად დაყოფილ ხელოვნების,



დრამატულ, წიგნიერებისა თუ მათემატიკის კუთხეებში პატარები სურვილის მიხედვით ნაწილდებიან და დღეს მხიარულად და შინაარსიანად ატარებენ.

მზაობის პროგრამით გათვალისწინებული თამაშები და აქტივობები უზრუნველყოფენ ცალკეული უნარების განვითარებასა და ჩამოყალიბებას. მზაობის ჯგუფებში: **„პეპლები“ – თინათინ კვირიკაშვილი** და **მანანა გულაშვილი**; **„ცისარტყელა“ – ირმა გელოვანი** და **ეთერ ანთიძე** – სხვადასხვა სირთულის აქტივობისა თუ თემის განხილვას ყურადღებით ეკიდებიან, ბავშვთა უნარებისა და ქცევის ჩამოყალიბებასა და ათვისებაზე მუშაობენ.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების სტრატეგიაში აქცენტი ინკლუზიური განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე კეთდება. ბაგა-ბაღს ამ ეტაპზე განსაკუთრებული საჭიროების 5 აღსაზრდელი ჰყავს. ახალი პროგრამების დანერგვაში თავისი წვლილი შეაქვს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორს **მანანა ჯალიაშვილს**. მისი ხელმძღვანელობით ბაღში შექმნილია მულტიდისციპლინური ჯგუფი. პროცესში ჩართულები არიან ლოგოპედი **მანანა ანდღულაძე**, ფსიქოლოგი **თეა სადალაშვილი** და სპეც. პედაგოგი **მარინე ხუბაშვილი**, ასევე აღმზრდელები და მშობლები. რეგულარულად აკვირდებიან ბავშვთა ქცევას კონკრეტულ გარემოში, ზრუნავენ მათი გონების განვითარებაზე.

ქალბატონი მაია აქტიური, შემოქმედი პიროვნებაა. პროფესიიდან გამომდინარე, ხელოვნების დიდი მოტრფიალეა და აღსაზრდელთა ამ კუთხით განვითარებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. საგანმანათლებლო თემებთან ინტეგრირებულ მუსიკალურ აქტივობებს, წარმატებით ახორციელებენ მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები – **ირმა ბაიდოშვილი** და **ვლადიმერ ბუცხრიკიძე**; მრავალფეროვან მუსიკალურ რეპერტუარში დომინანტია კომპოზიტორ **ვაჟა დურგლიშვილის** საბავშვო სიმღერები. ამის აღსანიშნავად ბაგა-ბაღში გაიმართა კომპოზიტორის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სადაც პატარებმა ბატონ ვაჟას წარუდგინეს მუსიკალური ნომრები და უფრო ახლოს გაიცვნეს მათთვის ღვაწლმოსილი ხელოვანი.





დაკისრებულ მოვალეობას ენერგიულად ართმევენ თავს საქმის საუკეთესო სპეციალისტები - დირექტორის მოადგილე **დიანა ბოლქვაძე**, საქმისმწარმოებლები: **მზია გოგინაშვილი** და **ანა მჟავანაძე**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **ეკატერინე ბერიძე-მუნგერი**;

ბაღი აქტიურად არის ჩართული მერიისა და ბაგა-ბაღების სააგენტოს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში – დედაენის, დედის დღის, წიგნის კითხვისა და დაუნის საერთაშორისო დღისადმი, ასევე 26 მაისის და ბავშვთა დაცვის, დედამიწის დღის, საშემოდგომო, საახალწლო თუ გამოსაშვები აქტივობები, სპორტულ შეჯიბრებაში **„მხიარული სტარტები.“** წარმატებით მონაწილეობდნენ საბავშვო თეატრ **„მეორე სახლის“** მიერ ჩატარებული ფესტივალის გალა-კონცერტში; სიგელით დაჯილდოვდნენ ბავშვთა შემოქმედებით გამოფენაზე. 1 ივნისს განსხვავებული ნომრით – ცეკვა **„რაჭულით“** წარსდგნენ მაყურებლის წინაშე ვაკის პარკში. სხვადასხვა სიგელსა და სერტიფიკატს შორის განსაკუთრებულად აღსანიშნავია ერთი, რომლითაც სრულიად საქართველოს მეომარ ვეტერანთა ინვალიდთა საერთაშორისო ფონდში შეტანილი წვლილისა და გულისხმიერებისთვის ქალბატონი მაია დაჯილდოვდა. **მაია ჭოხონელიძე** აღსაზრდელებისთვის მუდამ სასიკეთო სიახლეების ძიებაშია. ის, თუ რომელი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა და რა იგეგმება სამომავლოდ, მეტად მნიშვნელოვანია ისეთი ბაგა-ბაღისთვის, რომელიც 1905 წელს აგებულ შენობაში ფუნქციონირებს. ქალბატონ მაიასა და სააგენტოს ძალისხმევით სახურავი ნაწილობრივ შეკეთდა, მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრების ფურნიტურები მოწესრიგდა და გათბობის სისტემა შეიცვალა.



იგეგმება შენობის რეკონსტრუქცია და ძველი შენობის თანამედროვე სტანდარტების ნაგებობით ჩანაცვლება, მოწესრიგდება ეზო, დაიგება ასფალტის საფარი.

ასე რომ, ახალ სასწავლო წელს ბაგა-ბაღი უფრო ლამაზი და მოწესრიგებული დაუხვდებათ ცეროდენებს.

**ნათია გუგუნავა**



*2019 წლის სექტემბრიდან დიდუბის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გაიხსნება საბალეტო სტუდია „პიკე“.*

*პროფესიონალურ ჯგუფებში მიიღებიან ბავშვები ხუთი წლის ასაკიდან. იმოქმედებს მოყვარული ჯგუფებიც.*

*მისამართი: დიღმის მასივი, V კვ. მიქელაძის ქ. 6. მე-40 ბაგა-ბაღის შენობაში.*

*დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 2 524 302; 577 717 327; 597 973 955;*



მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე

გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 557 208 504;
მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705;
კონსტანტინე გურგენიძე 555 960 246;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

სახალხო განათლება+ N10 (4585)
12 ივნისი / 2019 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113